ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 23 თებერვალი 1996 № 14 (239) ფასი 40 თეთრი

# ბოსმანის ბომბი აფეთქდა



## ბოლო ხანს ლონდონს ირლანდიელი ტერორისტები აზანზარებენ. ორშაბათს კი ინგლისის დედაქალაქში ბელგიელი ფეხბურთელის დადებულმა ნაღმმაც იფეთქა:

## ევროპული ფეხბურთი აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო.

ფეხბურთი დიდხანს იცოცხლებს — ეს ფაქტია, მაგრამ ისევე, როგორც ყველა ცოცხალ ორგანიზმს, შიგადაშიგ მასაც შეეყრება ხოლმე რაიმე სენი. ახლა სწორედ ასეთი დროა — ჩვენი პლანეტის მოსახლეობის უსაყვარლესმა პირმშომ თავისი ავადმყოფობის შესახებ დაბადების ადგილას, ინგლისის დედაქალაქ ლონდონში განაცხადა. მან ეს ორშაბათს, 19 თებერვალს, უეფას პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონის პირით მოიმოქმედა. დიაგნოზი დასმულია, ახლა მკურნალობაა საჭირო.

ევროკავშირმა იძალა. უეფას ყოველგვარი ცდა, შეწინააღმდეგებოდა ამ კავშირის სასამართლოს დადგენილებას, ამაო გამოდგა და კონტინენტის ფეხბურთის ხელმძღვანელი ორგანიზაცია იძულებული შეიქნა დანებებულიყო. ამგვარად, შეიცვალა ევროპულ ფეხბურთში მოქმედი ორი უმნიშვნელოვანესი წესი.

პირველი: გაუქმდა წესი „3+2". ეს იმას ნიშნავს, რომ თუ აქამდე კლუბებს შეეძლოთ მოედანზე სამი უცხოელისა და კიდევ ორი ასიმილირებული (მათი, ვისაც ადგილზე ხუთი წელი უთამაშია) გაყვანა, ახლა ლიმიტი გაუქმებულია და თუ მოისურვებენ, თერთმეტსავე საზღვარგარეთელს ათამაშებენ.

მეორე: შეიცვალა სატრანსფერო სისტემა. ანი ნებისმიერ ფეხბურთელს, რომელსაც კლუბთან კონტრაქტის ვადა გაუვა, შეუძლია სადაც უნდა, იქ გადავიდეს. ყოფილი მფლობელი მასში ფულს ველარ მოითხოვს.

წესი „3+2" ოთხმოციანი წლების დამდეგს შემოიღეს. მიზანი ის იყო, რომ მდიდარ კლუბებს მთელი ფული უცხოელი ვარსკვლავების ყიდვაში არ დაეხარჯათ და იძულებულნი ყოფილიყვნენ, ადგილობრივი მოთამაშეების აღსაზრდელად ბავშვთა სკოლები დაეფინანსებინათ. ცალკე საკითხია გულშემატკივართა რეაქცია. ძნელი სათქმელია, მოეწონებათ თუ არა ქომაგებს, თავიანთ საყვარელ გუნდს სულ გადამთიელებით დაკომპლექტებულს რომ იხილავენ. იქნება ასეთი გამარჯვებიც არ ისურვონ. თუმცა, ვინ იცის, რა მოხდება. ყოველ შემთხვევაში, დღეს „მილანს" უკვე აქვს უფლება ათამაშოს ექვსი უცხოელი: ბობანი, დესაი, ვეირა, სავიჩევიჩი, ვეა და ფუტრე (იტალიური დაცვალა რჩება), გაისად კი თუ ნანატრი აიაქსელები რაიციგერი, დავიდსი და კლუივერტიც შეიძინა, შეეძლება, თერთმეტიდან ცხრა არაიტალიელი ათამაშოს. თუმცა, რაღა „მილანზე" გავამახვილოთ ყურადღება, გაცილებით ღარიბი და სუსტი ინგლისური „მანჩესტერ სიტი", რომელშიც ჩვენი გიორგი ქინქლაძე თამაშობს, პირველი იყო, ახალ წესებს რომ გამოეხმაურა. „სიტი" ევროსასამართლოს 15 დეკემბრის ვერდიქტის მერე, ხელადვე, საახალწლოდ, უეფას კაპიტულაციას არც დაელოდა, ბლექბერნში „ივუდ პარკზე" ოთხი უცხოელით გავიდა სათამაშოდ (იმელი, როსლერი, ეკელუნდი, ქინქლაძე). ახლა, ქინქლაძესთან ერთად მოედანზე სრულიად შესაძლოა ვიხილოთ სამი გერმანელი როსლერი, ფრონცეკი და იმელი, დანიელი ეკელუნდი, ჰოლანდიელი ფონკი და ირლანდიელი ქუინი. აქ აღარას ვამბობთ უელსელ საიმონსზე, რადგან უელსელები, როგორც ბრიტანელები, ინგლისურ კლუბებში უცხოელებად არასოდეს ითვლებოდნენ.

ავია თუ კარგი, „3+2"-ის გაუქმებასთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია. თუ სეზონის ბოლომდე „ჯენტლმენურმა გარიგებებმა" და პატიოსანმა სიტყვებმა არ შეზღუდეს, ვისაც რამდენი უნდა, იმდენ უცხოელს ათამაშებს. აი, მეორე ცვლილება კი, სატრანსფერო სისტემას რომ ეხება, ჩვენი აზრით, დიდ გაუგებრობებს გამოიწვევს. ნათელია, რომ კონტრაქტგალეული მოთამაშის გაყიდვა ევროკავშირში არსებულ მშრომელთა თავისუფალი გადაადგილების კანონს ეწინააღმდეგებოდა. ახლა ფეხბურთელი თავისუფალია, მაგრამ რომელი ფეხბურთელი? იტალიელის ამბავი გასაგებია: თუ ინგლისში მოუნდა გადასვლა, დაუბრკოლებლად გადავა, რადგან ორივე ქვეყანა ევროკავშირის წევრია. ასევეა იმ სხვა ქვეყნების მოქალაქე ფეხბურთელთა ამბავი, ინგლისსა და იტალიასავით ევროკავშირში რომ შედიან. მაგრამ ქართველი, რუმინელი, ბულგარელი და სხვა ქვეყნების ფეხბურთელები? ცალკერძ უეფამ ძველი წესი გააუქმა და ევროკავშირელები ამ კავშირის კანონმდებლობის საფუძველზე იმოქმედებენ, მაგრამ დანარჩენებს ხომ საერთო კანონი არა აქვთ. ქართველებს, მაგალითად, ჩვენი პარლამენტის გადამკიდეთ, კონტრაქტის შესახებ კანონი საერთოდ არა გვაქვს. რა ვქნათ, როგორ გადავიდეს, ვთქვათ, ფოთელი ქუთაისის გუნდში? ქუთაისმა ეს ფოთელი უნდა იყიდოს თუ...? ანდა, თუ ამ ფოთელს სადმე რუსეთში მოუნდა წასვლა, აქ ხომ უკვე ორი ქვეყნის კანონი უნდა ჩაერიოს საქმეში. გნებავთ, იმავე ევროკავშირის წევრი ქვეყნის გუნდს რომ მოუნდეს ქართველი, რა უნდა ქნას? თვალწინ გვაქვს რუმინელი ფეხბურთელის ილიე დუმიტრესკუს მაგალითი: ინგლისის ერთი გუნდიდან მეორეში სურს გადასვლა, მაგრამ ბრიტანეთის შრომის დეპარტამენტი თავის ქვეყანაში მუშაობის ნებას აღარ რთავს. ეს იმიტომ, რომ რუმინეთი ევროკავშირის წევრი არ არის, თორემ წევრი ქვეყნის მოქალაქეს ასეთი პრობლემა არ შეექმნებოდა. ამ საკითხზე მომდევნო ნომერში შევეცდებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან კომპეტენტური პირის კომენტარი შემოგთავაზოთ.

მოკლედ, უეფას აშკარად მოუწევს რაღაცის მოფიქრება. შესამუშავებელია ისეთი მოქნილი კანონი, ყველას რომ დააკმაყოფილებს. კლუბებმა კი უკვე ჭკუა იხმარეს და ამა თუ იმ ვარსკვლავის გარეშე რომ არ დარჩნენ (ხომ შეიძლება, კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ მოთამაშე სხვაგან გადავიდეს, რადგან იქ მეტ ხელფასს დაპირდნენ, გაყიდვის უფლება კი აღარ არის), გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყეს. ახლახან მადრიდის „რეალმა" რაულთან 2005 წლამდე დასდო ახალი კონტრაქტი, რაც ნიშნავს, რომ თუ რაულს სადმე წასვლა მოუნდება, 9 წლის მანძილზე ამას თავისუფლად ვერ შეიძლებს — თუ მაინცდამაინც „რეალი" გაყიდის.

აი, ასეთი თავსატეხი გააჩინა ერთი ყმაწვილის განაწყენებამ. ამაში ერთგვარი ცინიზმიცაა — ჟან მარკ ბოსმანი (ყმაწვილი ფოტოზე), საშუალოზე საშუალო ნიჭის ფეხბურთელი, სამინელი ვულკანის ამოხეთქვის მიზეზი შეიქმნა. ახლა შეუბამს ჰალსტუხი და ირონიულად იღიმება. რას იზამ, მისმა წამოწყებულმა საქმემ ხომ საფეხბურთო ევროპა ამოატრიალა და ჩვენი ეჭვით, ეს ამოტრიალება ზემოხსენებული ორი კანონის შეცვლით არ დამთავრებულა. გაგრძელება იქნება!



# მწვრთნელი გაძობდა, მერი იცინოდა

ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის ფოთის „კოლხეთის“ მწვრთნელი სოსო ფილია შეფიქრიანებული ვნახეთ — ახლახანს დავიწყეთ მზადება, გუნდის საქმეები გაურკვეველია და ვინ იცის, მეორე წრეს როგორ დავასრულებთო.

სწორედ გაურკვეველი მომავალი და ფინანსური პრობლემები იყო ჩვენი საუბრის ძირითადი თემა.

— ფინანსური საქმეების მოუგვარებლობის გამო „კოლხეთმა“ მხოლოდ 17 თებერვალს დაიწყო მზადება და, ბუნებრივია, მეორე წრისთვის სრულყოფილად ვერც მოვემზადებით — დაწყებამდე ხომ სულ რაღაც ორი კვირაა დარჩენილი. თანაც, ჩვენ ევროთასზე მონაწილეობაც გვსურს და უფრო მეტი მოგვეთხოვება, ვიდრე სხვებს. თასზეც და ჩემპიონატშიც წარმატებით გამოსვლა კი გვსურდა, მაგრამ ორი თვე გაგვიცდა და ამის ანაზღაურება შეუძლებელია. როცა შევიკრიბეთ, აღმოჩნდა, რომ მოთამაშეთა საერთო წონა 70 კილოგრამით აღემატებოდა ნორმალურს.

— გავიგეთ, ფოთელები კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობით უკმაყოფილონი არიანო. მართალია ეს ხმები?

— პირობა ასეთი იყო, საკონტრაქტო თანხის ნაწილი ჩემპიონატის დაწყებამდე უნდა გადახდილიყო, ნაწილიც — მეორე წრის დაწყებამდე. ასე ეწერა კონტრაქტშიც: მაგრამ ფინანსური სიძნელეების გამო გუნდის ხელმძღვანელებმა ეს ვერ მოახერხეს და თქვეს, პირობებს იმ შემთხვევაში შევასრულებთ, თუ გუნდი დასახულ ამოცანას შეასრულებსო. რა თქმა უნდა, ფეხბურთელები ამას არ დაყაბულდნენ, რადგან კონტრაქტის თანახმად თანხა საბოლოოდ 14 მარტისთვის უნდა გასტუმრებულიყო. ამან გუნდის ხელმძღვანელობასა და მოთამაშეებს შორის უთანხმოება წარმოშვა. ამას ვინ ჩივის, 8 იანვრისთვის, როდესაც მზადების დაწყებას ვგეგმავდით, გუნდის ანგარიშზე მხოლოდ 9 ლარი ირიცხებოდა!

— თქვენზეც თქვეს, გუნდის დატოვებას აპირებსო...

— მართალია, ჩემი განცხადება გადადგომის შესახებ დღესაც გუნდის ხელმძღვანელობასთან დევს, მაგრამ ხელი არ მოუწერიათ. ყველაფერი 23 თებერვალს გადაწყდება. ჩემსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის ბევრი პრობლემაა. თუ შემისრულებენ იმ პირობებს, რომლებიც სეზონის დასაწყისში წამოვაყენე, დავრჩები „კოლხეთში“, თუ არა, გუნდის დატოვება მომიწევს.

— ეს პირობები მხოლოდ თქვენ გეხებათ თუ საერთოა?

— ფეხბურთელს რომ მხოლოდ ხელფასი და პრემია გადაუხადო, ეს არ არის საკმარისი. ამაზე კი მითხრეს, შეპირებულს შევასრულებთო, მაგრამ მწვრთნელსაც ხომ უნდა ჰქონდეს სამუშაო პირობები? შეკრება ჩაგვეშალა — ანთალიაში ვაპირებდით გამგზავრებას, მაგრამ სახსრები არა გვაქვს და ვერ მოვახერხებთო. შეკრების გარეშე კი წარმატების მიღწევაზე ლაპარაკიც უაზრობაა.

— თქვენი სიტყვები მაფიქრებინებს, რომ მოსალოდნელი წარუმატებლობის გამო პასუხისმგებლობის თავიდან არიდება გსურთ...

— რა თქმა უნდა! გუნდი, რომელიც შეკრებას ვერ გაივლის და მეორე წრის წინ მხოლოდ ორი კვირით ადრე შეიკრიბება, წარმატებას ვერ მიაღწევს. არადა, მეორე წრეში მნიშვნელოვანი თამაშები გველის. მეც ხომ ადამიანი ვარ, როგორ გავაგებინო გულშემატკივრებს ჩემი პრობლემები, ქუჩა-ქუჩა ხომ არ დავიწყებ სიარულს და ლაპარაკს, ამა და ამ მიზეზის გამო ვერ ვთამაშობთო?! გულშემატკივარი იმიტომ დადის სტადიონზე, რომ საინტერესო თამაში იხილოს და საყვარელი გუნდის წარმატებით გაიხაროს. მისთვის წარუმატებლობის მიზეზი არ არსებობს, ასე რომ, მე მომიწევს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნა. საბოლოოდ კი გუნდის ხელმძღვანელობაც გაილანძღება, ფეხბურთელებიც და მეც.

— „კოლხეთი“ სხვა გუნდებისგან მეტნაკლები ფინანსური სტაბილურობით გამოირჩეოდა. მაინც რა მოხდა?

— არც იმის თქმა შეიძლებოდა, თითქოს ყველაფერი საათივით გვქონდა აწყობილი, თუმცა მთლად უსაშველონიც არ ვიყავით. მაგრამ ქალაქის ახალი მერის ნუგზარ ნადარაიას დანიშვნის შემდეგ საქმე აგვერია. ვერ გეტყვით, ჩემზე მიაწოდეს ცუდი ინფორმაცია თუ სხვა რამეშია საქმე, ვიცი კი, რომ მერს უთქვამს, ქალაქს და ფოთის პორტს არ გააჩნია იმდენი სახსრები, გუნდი რომ შეინახოსო. თავიდან არც უნდოდა პრემიებისა და საკონტრაქტო თანხის გაცემა. შეკრებისთვისაც არ გამოგვიყო სახსრები. შემდეგ კი ეს განაცხადა, საკონტრაქტო პირობები წარმატების შემთხვევაში შესრულდებაო.

— რომ არა ეს პრობლემები, შეძლო „კოლხეთს“ უკეთესი შედეგის მიღწევა?

— 99 პროცენტით ვიყავი დარწმუნებული და ვიღებდი კიდეც პასუხისმგებლობას, რომ ან თასების თასზე გავიყვანდი „კოლხეთს“ ან ინტერტოტოზე. საამისო პოტენციალი გუნდს გააჩნია. მაგრამ პირველ წრეში პრობლემებმა იჩინა თავი. იყო შემთხვევები, ვარჯიშებიც კი ჩაგვეშალა. დროულად ვერ ჩავედით თამაშებზე ბოლნისში, რუსთავში. ბოლნისში კი მოვიგეთ, მაგრამ რუსთავში დავმარცხდით. მიზეზი ელემენტარული იყო — სამივლინებო თანხა დროზე არ გამოგვიყვეს.

— წელს გუნდს აშკარად ეტყობოდა, რომ ინერციითღა თამაშობდა...

— ეროვნულ ჩემპიონატებში „კოლხეთი“ ყოველთვის მოწინავეთა შორის იყო და კონკურენციასაც უწევდა ფავორიტებს. წელს კი ჩვენ ყველაზე უარესად ვთამაშობთ. მთავარი მაინც ის დაძაბული ფსიქოლოგიური ატმოსფეროა, რომელიც კლუბშია შექმნილი. ჰაერში ვიყავით გამოკიდებულები, ვიარსებებდით თუ არა, არ ვიცოდით. ასეთ ვითარებაში კი შეუძლებელია გუნდმა წარმატებით ითამაშოს. ერთი სიტყვით, უამრავი პრობლემა გვაბრკოლებდა, რაც, ბუნებრივია, თამაშის ხარისხსაც დაეტყო.

— ფინანსური პრობლემების გამო გუნდიდან წასვლა არავის უთხოვია?

— მოთამაშეებმა საკონტრაქტო თანხა, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღეს. ასე რომ, ყველა გუნდშია. მე ის მაღელვებს, რომ გვიან დავიწყეთ მზადება. გუნდი ქარხანა არ არის, დაკარგული დღეები შემდეგ აინაზღაუროს.

— მოკლედ, მეორე წრეში „კოლხეთის“ წარმატება საეჭვოა...

— სასწაული უნდა მოხდეს, რომ ხეირიან შედეგს მივაღწიოთ. ძალიან დავიგვიანეთ შეკრების დაწყება. რა იქნება, ძნელი სათქმელია...

მერაბ მამულაშვილი

## ბათუმი

„ბათუმი“ წელს სერიოზულ მიზნებს ისახავს ეროვნულ ჩემპიონატშიც და თასის გათამაშებაშიც. ბათუმელებმა მზადებაც დროულად დაიწყეს — 10 იანვარს ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე, 30 იანვრიდან კი მენავთობეთა დაბის სტადიონზე „დასახლდნენ“ და დღეში ორჯერ ვარჯიშობენ.

გუნდი დატოვა მეკარე ასლან ბალაძემ, რომელიც აჭარის ბავშვთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად დაინიშნა, ამირან გოგიტიძე კი მეორე მწვრთნელად იმუშავებს. არის ახალგაზრდული შევსებაც: გიორგი წუწუნავა, ქობულეთის „შუქურადან“ გადმოყვანილი ვიტალი დარასელია და ავთო სიხარულიძე. ბათუმში 20 დღე ივარჯიშა კვიპროსიდან დაბრუნებულმა გოდერძი ნატროშვილმა, მერე კი ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ვალერიან ჩხარტიშვილმა განაცხადა, ჩავთვალე, იგი ჩვენ არ გამოგვადგებოდაო.

ბათუმელებმა საკონტროლო მატჩებიც საკმაოდ ითამაშეს. მენავთობეთა ბაზის სტადიონზე „სამტრედიასთან“ დამარცხდნენ — 3:4. „მარგვეთთან“ აბაშის რაიონის სოფელ მარანშიც და ბათუმშიც ორჯერვე ფრე იყო — 1:1. ქობულეთში ამხანაგური მატჩიც გამართეს სომეხ, კერძოდ გიუმრელ ფეხბურთელებთან და აქაც ფრე — 0:0.

თავში ვთქვით, რომ ბათუმი წელს დიდ მიზნებს ისახავს [illegible] — ჩემპიონატში სამეულში მოხვედრა, ევროპის ერთ-ერთი თასის გათამაშებაში მონაწილეობა.

კლუბის პრეზიდენტი რევაზ ჩელებ[illegible] ახლახან შეხვდა ბატონ ასლან აბაშიძეს, რომელსაც უთქვამს, რომ მარტის ბოლოსთვის გამოიყოფა თანხები სტადიონის გადახურვის დასაწყებად, ჩატარ[დება] სხვა სამუშაოებიც. უნგრეთის ერთი ფირმის ანგარიშზე გადარიცხულია 300 000 დოლარი ვიდეოტაბლოს საფასურად და მალე იგი დამონტაჟდება კიდეც ბათუმის სტადიონზე.

ლევან ლაგაძე

## სამტრედია

„სამტრედიამ“, მოგეხსენებათ, ჩემპიონატის პირველი წრე მეორე საფეხურზე დაამთავრა. გეხსომებათ, ლიდერმა მეორე ადგილზე მას შემდეგ ჩაინაცვლა, რაც წრის ბოლო შეხვედრაში თბილისში „დინამოსთან“ დამარცხდა. მას შემდეგ ამ გუნდის შესახებ ისლა ვიცოდით, რომ ძირითადის ოთხი ფეხბურთელი — ბესიკ ბერაძე, ზაზა და დათო ჯანაშიები და ზურაბ იონანიძე რუსეთის უმაღლესი ლიგის გუნდებში გაიყიდნენ. „სამტრედიას“ ფინანსურადაც მთლად გამართულად ვერ ჰქონდა საქმე. ამას ვალტერ გუჩუას ტრავმაც დაერთო და, საერთოდ, ამბობდნენ, ყველა მოთამაშეს გაქცევაზე უჭირავს თვალიო. მაგრამ, მოგეხსენებათ, ისე არასოდეს წვიმს, როგორც ქუხს. კლუბის პრეზიდენტი ტარიელ ჩაჩუა, ჯერ და, იმედია, მომავალშიც, თავისი სიტყვის ერთგულია — სანამ აქ ვიქნები, სამტრედიაში ფეხბურთი იქნება, თან ისეთი გუნდი, რომელიც ჩემპიონატისთვის იბრძოლებსო. მისი მეცადინეობით კლუბმა კრიზისი დაძლია, გუნდი ისევ შეიკრა და უკვე ორ კვირაზე მეტია, ჯიხაიშის საწვრთნელ ბაზაზე მეორე

## ემზადებიან

წრისთვის ემზადება. მზადება დაუწყია „სამტრედიის“ ფარმ-კლუბ „ანჯელსაც“, რომელიც მეორე ჯგუფის გათამაშების ლიდერია და მასაც თავის წილად დიდი გეგმები აქვს.

ჩემპიონობისთვის მებრძოლ „სამტრედიას“, ბუნებრივია, სათანადო მომზადებაც სჭირდება. აკი სოჭშიც აპირებდნენ გამგზავრებს, მაგრამ მერე გადაიფიქრეს ძირითადად ორი მიზეზის გამო: პირველი ის იყო, რომ დასავლეთ საქართველოში შედარებით კარგი ამინდები დაიჭირა, მეორეც — ირჩიეს, ის ორი დღე, მგზავრობაში რომ დაიკარგებოდა, ვარჯიშებს მოახმარონ და დაკარგული აინაზღაურონ.

ზემოთ ნახსენებ მოთამაშეთა წასვლამ სამტრედიელთა მთავარ მწვრთნელს კახა ელაშვილს საკმაო პრობლემები გაუჩინა — ერთბაშად მათი შემცვლელი სად უნდა ეპოვნა? მაგრამ ამ საქმესაც, ასე თუ ისე, მოევლო. ტრავმირებული გუჩუა მალე გამოჯანმრთელდა და ამჟამად მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. გუნდს კიდევ ერთი ტრავმამოშუშებული — ბუბა ტყავაძე შეემატა და ამბობენ, ჩინებულ ფორმაშიაო. დაიმატეს ყოფილი შევარდენელი ხვადაგიანი და ელდარ გვასალია, რომელიც გულშემატკივრებს ხობის „კოლხეთიდან“ ემახსოვრებათ. იქ გვასალიას არაერთი გოლი გაუტანია და თუ ჩვეული ფორმა აღიდგინა ბევრ მეკარეს გაამწარებს. ამათ გარდა გუნდში კიდევაა რამდენიმე ახალწვეული. ამ ახალგაზრდების „სამტრედიაში“ დარჩენა-არდარჩენის საკითხი მეორე წრის დასაწყისისთვის გაირკვევა. მათგან ერთი, აწ უკვე ყოფილი „ანჯელელი“, ლურსმანაშვილი რომ „სამტრედიის“ ღირსებას დაიცავს, ეს ნაღდია, მოარულ ხმებს კი თუ დავუჯერებთ, სოხუმელ[ი] დელიასაც თვალი სამტრედიისკენ უჭი[რა]ვს.

„სამტრედიას“ ეს შევსება რომც არ ელო, ყველა ჩვენი გუნდისთვის მაინც გარიშგასაწევი ძალა იქნებოდა, ახლა კი მითუმეტეს. თუმცა, დაველოდოთ და ვნახოთ, ამჯერადაც გაამართლებს ვარაუდებს გუნდი, რომელმაც პირველ წრეს ესოდენი ინტერესი შესძინა...

ბოლო საკონტროლო მატჩში „სამგურალთან“ „სამტრედიამ“ 6:1 მოიგო.

მამუკა კვანტალიანი

# ვინ — საით?

„შევარდენის“ ყოფილი ნახევარმცველი გია მაზანაშვილი გუნდიდან მას შემდეგ წავიდა, რაც „შევარდენში“ მერთაზ ხურცილავა მივიდა. მაზანაშვილს გუნდის ძებნა შორს და დიდხანს არ დასჭირვებია — თბილისის „დინამო-2“-ში ჩაირიცხა. მისგან განსხვავებით მთელი პირველი წრე გაუცდა „სამტრედიის“ მცველ გია ჯიკაევს, თუმცა მანაც მოძებნა ახალი გუნდი და მეორე წრეში „მარგვეთი-2“-ში იასპარეზებს, უფრო სწორად, იქ შეიყვანეს განაცხადში, თამაშით კი უფროს „მარგვეთში“ ითამაშებს. ამ ბოლო ხანსღა გაირკვა, რომ ჩვენი ჩემპიონატის დებულება ასეთი ეშმაკური მანევრის საშუალებას იძლევა.

უკრაინიდან კიდევ ერთი ქართველი — ლავრიკ გაგუა დაბრუნდა. იგი დაშლის პირას მყოფ ჩერნიგოვის „დესნას“ დაემშვიდობა და ახლა პოლიციის აკადემიის გუნდში ითამაშებს. თბილისის „დინამოში“ ვარჯიშობს ასევე უკრაინიდან დაბრუნებული გიგა გადელია; თუმცა სად ითამაშებს, ჯერ არ გადაუწყვეტია — მას „სამტრედიაც“ იწვევს. „დინამოშივე“ ვარჯიშობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი გურამ ასპინძელაშვილიც. საბოლოოდ ვის შეიყვანს „დინამო“ განაცხადში, ეს უახლოესი დღეების საქმეა.

## არზიანი დაბრუნდა

ეს ამბავი ფოთის „კოლხეთის“ მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფილიამ გვაცნობა. ყოფილ დინამოელს შვეციაში ოთხი წლის თამაშის შემდეგ კონტრაქტის ვადა დასრულებია და ფილიას თქმით, თუ „კოლხეთში“ ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაშინ არზიანი ჩვენთან დარჩებაო. შევიტყვეთ ისიც, რომ ფოთიდან არზიანი ბათუმშიც წასულა. რომელს აირჩევს ამ ორი გუნდიდან ან რომელი აირჩევს მას, ეს უახლოეს დღეებში გადაწყდება.





## ქოქოშვილი მიდის

სად, დანიაში თუ შვეიცარიაში, ეს დღედღეზე გადაწყდება. თავად გოჩას თქმით, მიწვევები აქვს ორივე ქვეყნის უმაღლესი დივიზიონის გუნდებიდან, ეს საქმე კი თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას გაუჩარხავს.

ძოძუაშვილისდროინდელი „დინამოს“ ყოფილი მცველი იმედოვნებს, რომ იგი შეძლებს აინაზღაუროს ფაქტიურად დაკარგული ორი წელი, რადგან დანიაშიც და შვეიცარიაშიც ნორმალურ პირობებს სთავაზობენ და ამ ქვეყნების ჩემპიონატებიც საკმაოდ დაძაბულია.


**„ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლა, დიდუბის რაიონის გამგეობა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბაგნი“**

1996 წლის 10 აპრილიდან აწყობენ 1986 წელს დაბადებული ნორჩი ფეხბურთელების ტურნირს, რომელიც საქართველოს არაოფიციალური პირველობა იქნება და მიეძღვნება თენგიზ მელაშვილის ხსოვნას.

ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა საფეხბურთო კლუბს. დაწესებულია გარდამავალი თასი, რომელსაც 1986 წელს დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები ყოველწლიურად გაითამაშებენ. დაწესებულია, აგრეთვე, სხვადასხვა პრიზები.

გამარჯვებული გუნდი და დანარჩენი გუნდებისგან შედგენილი ნაკრები მაისის მეორე ნახევარში გამართავენ ტურნირს თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში.

ამ ღონისძიებათა დასაფინანსებელი თანხის ნაწილს (თითოეულ გუნდზე 150 ლარი) გაიღებენ მონაწილე გუნდები. გუნდის განაცხადში გათვალისწინებულია 16-18 მონაწილე.

განაცხადების წარმოდგენის ვადაა 1996 წლის 2 აპრილი, „ნორჩი დინამოელის“ საწვრთნელი ბაზის დირექციაში (მუშტაიდის ბაღთან). სავალდებულოა დაბადების თარიღის აღმნიშვნელი ოფიციალური დოკუმენტის თანდართვა.

საორგანიზაციო კომიტეტი
ტელეფონი:
95-37-27; 34-72-36
დილის საათებში.



# შარშანწინდელიც კი მახსოვს...

საქართველოს ნაკრებისა და მის ქომაგთა მბჟუტავი იმედი, 1996 წელს ინგლისში გვეთამაშა, შესარჩევი გათამაშების სტარტზევე, საათნახევარში ჩაქრა. იგორ ოპრიას გოლმა მოლდოვას სამი ქულა წაალებინა თბილისიდან და ნათელი გახდა, რომ ინგლისის საგზურს ვეღარ მოვიპოვებდით. მერე და მერე კი, წელში რომ გავიმართეთ, თამაშები მოვიგეთ, იმედები ჩავისახეთ და „საუკუნის მატჩებიც“ დავგეგმეთ. ცხრილის დახედვა საკმარისი იყო, დანანებით რომ გვეთქვა: „ეჰ, მოლდავას სამი ქულა რომ მოგვცა...“ ამათ სამი ქულა კი არა, კიშინიოვიდანაც ცარიელ-ტარიელები გამოგვიშვეს. მოკლედ, გიგა ნორაკიძის დროინდელი ნაკრების გამარჯვება ერთადერთ ნათელ წერტილად დაგვრჩა ამ პატარა ქვეყანასთან საფეხბურთო ჰაექრობაში და ლამისაა, „მოლდავული კომპლექსი“ შეგვეყაროს. ამასობაში ვეას და ბლატერის ხელების წყალობით რევანშის შანსი მოგვეცა.



## მკვდრეთით აღმდგარი სპირიდონი

მოსკოვში, „თანამეგობრობის თასზე“ მოლდოვური ფეხბურთის ლიდერმა კიშინიოვის „ზიმბრუმ“ თავი შეირცხვინა — სამივე მატჩი წააგო. მე მხოლოდ ერთი მათგანი ვნახე, რადგან ჩვენი „დინამოს“ თამაშები ხშირად იმავდროულად ტარდებოდა. ვერ ვიტყვი, „ზიმბრუ“ სუსტი გუნდია-მეთქი, მაგრამ ფერღანის „ნეფთჩისთან“ და რიგის „სკონტოსთან“ 1:2, რუსეთის ახალგაზრდულ გუნდთან კი — 0:3 წააგო. მე მხოლოდ ფერღანელებთან მატჩს ვუყურე. გუნდის მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე სპირიდონს გუნდი გაეახალგაზრდავებინა და ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. რიგის „სკონტოსთან“ მოლდოველები მსაჯს „დაუწვია“ და სპირიდონს კინაღამ შემოლახვია კიდეც. ამ კაცთან ორი წლის მეგობრობა მაკავშირებს და ხშირად ვურეკავ ხოლმე, ამიტომ „კოსმოსის“ ვესტიბიულში თითქმის ყოველდღე ვბაასობდით, ხშირად — ღამის პირველ საათამდეც კი. ეგ იყო, „კოსმოსში“ ბუზებივით მორიალე გრძელკანჭება და მკერდსავსე დიაცები გვაწყვეტინებდნენ ხშირად საუბარს, რა გეფეხბურთებათ, წამოდით, საქმეს მივხედოთო. ამათ გაგულ[illegible] სპირიდონი დაიფრენდა ხოლმე. სხვა ხელისშემშლელი მიზეზები არც გვქონია — დაუსრულებლად ვიგონებდით ორივე მატჩს, განსაკუთრებით კი თბილისურს...

— ალალად გეტყვი, ვფიქრობ, ღმერთი დაგვეხმარა იმ საღამოს. განა ლოგიკურია, რომ მოლდოვამ საქართველოს მოუგოს, თანაც თბილისში? — არაა ლოგიკური, მაგრამ ფეხბურთში ასეთი გამონათქვამი არსებობს: დისციპლინით კლასსაც კი აჯობებო. ზუსტად ასე მოხდა. თქვენ ხომ გაცილებით მაღლა იდექით და დგახართ, მაგრამ თბილისში სათამაშო დისციპლინა არ გქონიათ. თბილისში ალბათ იმ ღამეს გლოვა იყო, ჩვენ კი, ვერ აგიწერ, რას განვიცდიდით. გაგიჟებას არაფერი გვაკლდა. არადა, თბილისში ჩამოსვლის წინ იმას ვგეგმავდით, დიდი ანგარიშით არ წაგვეგო...

**— საპასუხო თამაშამდე ჩვენები იქადნებოდნენ, რომ აუცილებლად მოგიგებდნენ. მაინც თქვენ გაიმარჯვეთ...**

— ეს თამაში, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად არაფერს წყვეტდა, ჩვენთვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო: ჯერ ერთი, კარგა ხანია არ გაგვემარჯვა, მეორეც — რომ წაგვეგო, ჩვენს მწვრთნელს იონ კარასს ხსნიდნენ. ჩვენს ფეხბურთელებს კი კარასი ძალიან უყვართ და დიდ პატივს სცემენ. ახლა ჩვენს ფედერაციაში რამდენიმე ისეთი კაცი მუშაობს, ცოტა არ იყოს, საკუთარ თავზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე ფეხბურთზე. ჰოდა, კარასს, ამ პატიოსან კაცს, მოსახსნელად გაუხადეს საქმე. ამიტომაც ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და შეუძლებელი შეძლეს.

**— ამისთანა რამაც გავიგე, თითქოს თქვენებს ჩვენებისთვის ფული შეეძლიოთ, დაგვიწექითო...**

— ეს არაკეთილმოსურნეთა ბოდვაა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე. არა მგონია, ქართველი ფეხბურთელების ყიდვა შეიძლებოდეს. ქართველისთვის ფეხბურთი ეროვნული სიამაყეა და იგი ყოველგვარ ფასზე მაღლა დგას — ვფიქრობ, ეს ყველასთვის ცნობილი ამბავია. ამიტომაც მხოლოდ ჭკუით ავადმყოფს შეუძლია, ქართველს ფული შესთავაზოს მაშინ, როცა საქმე ეროვნული გუნდის ღირსებას ეხება. ეს ჩემი აზრია...

**— ერთი ხანობა ნაკრებისა და გუნდის ლიდერი იყავით, მერე კი ტრავმამ კარგა ხნით ჩამოგაცილათ ასპარეზს. ახლა ისევ დაგიწყიათ თამაში იმავე კლუბში და გოლიც შეგიგდიათ. ნაკრებშიც ხომ არ ბრუნდებით?**

— არა, მორჩა ჩემი ნაკრებში მოღვაწეობა. როგორც ფეხბურთელისა, რა თქმა უნდა. ალბანეთის ნაკრებთან მე და მათი მეკარე ფოტო სტრაკოშა მაღალ ბურთზე ავხტით. თავი მოვიქნიე, ბურთს ვურტყამდი და კეფაში სტრაკოშას მუშტი მომხვდა. იმწამსვე გონება დავკარგე. გოლი კი მაინც გასულა. თურმე ენა გადამეყლაპა. ბედად, სტრაკოშა არ დაიბნა და ენა ამოიღო. ამასობაში ექიმებიც მომვარდნენ და ტირანის საავადმყოფოში გამაქანეს. გონს მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ მოვეგე. მძიმე ტვინის შერყევა და თავის ქალის გაბზარვა დამიდგინეს. ასე რომ, ფეხბურთი კი არა, სიკვდილს გადავრჩი. ახლა საფეხბურთო წრეებში ჩემს საზეიმო გაცილებაზე ლაპარაკობენ. ან ინგლისელებთან გამაცილებენ, ან იტალიელებთან.

**— მაშ კლუბში რატომ თამაშობთ?**

— ჯერჯერობით უჩემოდ უჭირთ. სამწუხაროდ, ლიდერიც არ ჩანს, თანაც კლუბის ორი საუკეთესო მოთამაშე ჰოლანდიაში წავიდა. პერსპექტიული ფეხბურთელები კი მყავს, მაგრამ ლიდერი — ჯერ არა. სანამ ასე იქნება, თამაშს გავაგრძელებ. კლუბში მთავარ მწვრთნელადაც ვმუშაობ, ნაკრებში კი კარასის თანაშემწე ვარ. ასე რომ, ისევ ფეხბურთში ვარ ჩაფლული.

**— ეროვნულ ჩემპიონატში როგორ გაქვთ საქმე?**

— პირველ ადგილზე ვართ. ჩვენი მიზანია, წელს ჩემპიონატიც მოვიგოთ და თასიც. აქამდე დუბლი არ გაგვიკეთებია. ადრე წინააღმდეგობას მარტო ტირასპოლის „ტილიგული“ გვიწევდა, ახლა კიდევ გამოჩნდა ორი-სამი გუნდი, თუმცა, ჩვენს ჩემპიონატში მაინც სუსტი გუნდები სჭარბობენ. ვფიქრობ, ჩემპიონატი გაცილებით საინტერესო გვექნებოდა და მოლდოვური ფეხბურთის დონეც ამაღლდებოდა, თუ სხვა პატარა ქვეყნების მსგავსად გუნდების რაოდენობას 10-12-მდე შევამცირებდით და ოთხ წრედ ვითამაშებდით. ახლა თასის მეოთხედფინალში „ტილიგულს“ ვხვდებით და ჩვენს შორის გამარჯვებულს, ფაქტიურად, თასს ვერავინ შეეცილება. ჩვენ ტექნიკურ ფეხბურთს ვთამაშობთ, ჩემი ფეხბურთელები სწრაფები და მსუბუქები არიან, ამიტომაც ჯერჯერობით გვიჭირს ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებულ „ტილიგულთან“ თამაში, მაგრამ სანამ მე „ზიმბრუს“ სათავეში ვიქნები, ჩვენი სტილი მუდამ შემტევი და ტექნიკური იქნება.

**— ახლა ისევ ნაკრებს დავუბრუნდეთ, ჩვენ ხომ კვლავ ორჯერ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს...**

— ვფიქრობ, ასე მოხდება: საქართველო იტალიასაც მოუგებს და ინგლისსაც, ჩვენ კი ისევ დავამარცხებთ საქართველოს! ისე სიმართლე თუ გინდა, თქვენთვის უკეთესია, რომ ევროპის ჯგუფში მესამე ადგილზე გახვიდეთ. ეს უფრო დაგაფიქრებთ და მომავალი, უფრო დიდი მიზნებისთვის სერიოზულად განგაწყობთ. დღეს გერმანიაც და ბულგარეთიც თქვენზე მაღლა დგანან. სამუშაო ბევრი გაქვთ, თუ უძლიერესთა შორის გსურთ ადგილის დამკვიდრება. მხოლოდ მუშაობა გმართებთ, რადგან ახლა ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდები გყავთ, როგორც არასდროს. მესხი, მეტრეველი, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია, ყველანი კარგად მახსოვს, ისინი დიდი ფეხბურთელები იყვნენ, მაგრამ ქინქლაძისნაირ ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელს პირველად ვხედავ. ქინქლაძე ახლა ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშედ მიმაჩნია. შეიძლება შემომედავონ, მაგრამ ეს ჩემი აზრია. იგი ტექნიკის თვალსაზრისით ეტალონად მიმაჩნია, თანაც, ფაქტიურად, ახლა იწყებს თამაშს. წარმოგიდგენიათ, რა დონეს მიაღწევს ქინქლაძე მომავალში?

**— ჩვენი ჯგუფის კალენდარზე რას იტყვით?**

— მგონი, თქვენთვის უფრო უკეთესადაა შედგენილი, ვიდრე ჩვენთვის. ჩვენ ზედიზედ ორ მატჩს ვთამაშობთ შინ ინგლისთან და იტალიასთან. ჩემი აზრით, ჩვენ ამ ტურნირში ექვს ქულას დავაგროვებთ. თქვენ კი თქვენისთანა პოტენციის გუნდით შეგიძლით გასვლაზე იფიქროთ. ჩვენს გუნდში ახლა 7-8 მაღალი კლასის ფეხბურთელი მოიძებნება, ეს კი არაა საკმარისი, თუ სერიოზულ მიზნებზე ფიქრობ. მოლდოვას ფეხბურთი ამისთვის ჯერ მზად არ არის, თუმცა ქულებს რომ არ დავარიგებთ, დამეთანხმები. შევებრძოლებით ყველას, რა ტიტულოვანიც უნდა იყოს, მაგრამ ყველაზე დაძაბული მატჩები რომ თქვენთან გვექნება, რაღა უნდა ლაპარაკი.

## მწვრთნელი, რომელიც უყვართ...

იშვიათია მწვრთნელი, მოთამაშეებს რომ უყვარდეთ, იონ კარასი კი სწორედ ასეთია. აგი მითხრა სპირიდონმა, რომ ბოლო თამაში საქართველოს ნაკრებთან ბიჭებს სწორედ კარასის ხათრით მოუგიათ. ვის და რატომ უნდა კარასის მოხსნა, ამას მე ვერ გეტყვით, მაგრამ ვისაც ეს სურს, მისთვის, ჩემი აზრით, ერთი ქართული ანდაზა, „ვირო, მადლიო!“ იქნება უპრიანი. აშკარად აუტსაიდერი გუნდით კარასმა ორჯერ მოუგო საქართველოს, უელსიც შეარცხვინა და ჯგუფში მოლდოველთათვის ფრიად საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა: უელსიც ჩამოიტოვა და ალბანეთიც. კარასმა დავალება ორასი პროცენტით შეასრულა. მოლდოვას მთავარი მწვრთნელი მოსკოვში „ზიმბრუს“ ჩამოჰყოლოდა, რათა ნაკრების მოთამაშეთა მზადყოფნა შეემოწმებინა. ეტყობა, ჩუმ-ჩუმად ჩვენს თამაშებსაც „ზვერავდა“, რაკილა ერთხელ თვალი ვკიდე. კარასთან საუბარი კალენდრით დავიწყე, რადგან მოლდოველი კოლეგებისგან ვიცოდი, სპირდონისგან განსხვავებით კალენდრით კმაყოფილიაო...

— კალენდარს მოლდოვას ნაკრებისთვის, ფაქტიურად, დიდი მნიშვნელობა არცა აქვს, ამიტომაც ვარშავაში შეხვედრისას დიდად არავის ვეკამათებოდით, არც ჩვენი პრეტენზიები წაგვიყენებია ვინმესთვის. ვიცით, რომ როგორც არ უნდა შეადგინო კალენდარი, იგი ჩვენთვის მაინც ცუდი იქნება, სტუმრობით დაიწყებ თუ შინ, ჯერ ძლიერს შეხვდებით თუ სუსტს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის. ინგლისი, იტალია, პოლონეთი, საქართველო — რომელზე ძლიერია მოლდოვა? ეგ ძლიერმა გუნდებმა იტეხონ თავი და არკვიონ პატარ-პატარა ნიუანსები. ვარშავაში დიდი ამბები ატეხეს ინგლისელებმა, პოლონელებმა და იტალიელებმა, ყველამ წამოაყენა თავისი პირობები. ჩვენ კი ჩუმად ვისხედით. მინდოდა, მაისში შევხვედროდი პოლონელებს — ოქტომბრამდე გაგვიგრძელეს. რა გაეწყობა, პატარა გუნდი ვართ. ამიტომაც, კარგია თუ ცუდი ჩვენთვის კალენდარი, ვერაფერს გეტყვით. თამაშები ყველაფერს გაარკვევს.

**— წინა შესარჩევი ციკლიც გავიხსენოთ...**

— ჟურნალისტების თანდასწრებით, პრესკონფერენციაზე დავგეგმე ქულები. ვთქვი, საქართველო: თბილისში დამარცხება, შინ — ქულა. საკმარისია ასევე უელსთან — იქ დამარცხება, შინ — ქულა. ალბანეთთან მეტი დავგეგმეთ — შინ მოგება, იქ — ქულა. გერმანიასთან და ბულგარეთთან ლაპარაკი ზედმეტია — ქულას ვერ ავიღებთ. არადა, ადრე შინ დავმარცხდით ქართველებთან. გამოვედივართ თქვენთან სათამაშოდ, გადავხედე საქართველოს ნაკრების შემადგენლობას და რას ვხედავ — ფაქტიურად, ექვსი თავდამსხმელია. ტყუპები და გურული გასაგებია, ქინქლაძეც შემტევი სტილისაა, ყაველაშვილი ჰავბეკად კი დააყენეს, მაგრამ ვიცოდი, ისიც შეტევაზე იფიქრებდა. ასევე მესამე ძმა არველაძეც. რა გამოვიდა? ჩემს ბიჭებს ვუთხარი, ახლა თუ რამე გადაგვარჩენს, დაცვაში უშეცდომო თამაში და კარგად ორგანიზებული კონტრშეტევები. როგორც კი გავიხსნებით ქართველები ათ ბურთს შეგვიგდებენ და საშინლად შევრცხვებით-მეთქი. ვუთხარი, რომ ქართველებს ჩვენს ქვეჯგუფში ყველა მეტოქის დამარცხება ძალუძთ, ქართველების ტექნიკა უნივერსალური და წუნდაუდებელია. ვინც ამათ შეკრულ, ხისტ დაცვას არ დაუპირისპირებს — დაიღუპება. ამიტომაც ყველა ჩემმა ფეხბურთელმა ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა ჩემი დავალება. ასეთი რამ იშვიათად ხდება — მანქანებივით იმუშავეს. ახლა თქვენებზე ვთქვათ. გოლი რიკოშეტით შევაგდეთ, დრო საკმარისი იყო, თქვენები კი დაიბნენ, ქაოტურად შემოგვიტიეს. ალბათ ფიქრობდნენ, რა ვუთხრათ ხალხს, რომელმაც ტრიბუნები აავსოო? ეს კი ჩვენ წისქვილზე ასხამდა წყალს. თვით ისეთი მოთამაშეც კი, როგორიც ქინქლაძეა, აშკარად დაიბნა. ახლა მოლდოვაში ჩატარებულ მატჩზე. მას თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩვენთვის კი — უდიდესი. ჩვენ ჯგუფში მეოთხე ადგილისთვის ვიბრძოდით. ამიტომაც გასაგებია, ვინ როგორ მიუდგებოდა ამ თამაშს. ცოტა გაგვიმართლდა და მოვიგეთ კიდეც.

**— კიდევ ორი თამაში მოგველის. კვლავაც შედგება სენსაციები თბილისსა და კიშინიოვში?**

— არა მგონია. ჩვენი ნაკრები დღითიდღე ახალგაზრდავდება. თქვენთან პირველი შესარჩევი რომ ვითამაშეთ, გუნდის საშუალო ასაკი 24, 7 წელი იყო, ბოლო მატჩისას კი — 23,5. განსხვავება აშკარაა, არადა, თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო — ერთი წელი გავიდა და გუნდიც უნდა დაბერებულიყო. ეს ძალზე მნიშვნელოვან ამბად მიმაჩნია. ახალგაზრდული გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე დაიმკვიდრა ადგილი ეროვნულში. მოკლედ, ახალგაზრდები მოდიან. ეს ამ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია.

**— მაშასადამე, ისევ იმ აბეზარ აუტსაიდერს როლს უნდა დასჯერდეთ, დროდადრო რომ იკბინება და ფავორიტებს ძვირფას ქულებს ართმევს?**

— აკი გითხარით, რეალურად ვაფასებ სიტუაციას და ცაში არ დავფრენ. ამ შესარჩევ ციკლსაც გუნდის გასაახალგაზრდავებლად და შესათამაშებლად გამოვიყენებ. რაც შეეხება თქვენთან ორ თამაშს, გეტყვით, რომ ჯერ არასოდეს ჩამოვარდნილა ორი ყუმბარა ერთსა და იმავე ადგილზე. ჩივაძემ მითხრა, მოდი, ისევ ისე ვითამაშოთ, ჯერ თბილისში, ბოლოს კი კიშინიოვშიო. მაგრამ ახლა არა მგონია ამას რაიმე არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. თქვენ რომ ჩვენთან პირველი სამი ქულა არ დაგეკარგათ, ვინ იცის, იქნება ინგლისისათვის მზადებაშიც კი ყოფილიყავით. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ისე გამოვიდა. თქვენ ხომ ჩვენთან ნაღდ ექვს ქულას გეგმავდით. ისე, ვფიქრობ, ხშირად ღმერთიც უსამართლოა ფეხბურთში. ყველა თამაშიც რომ წაგვეგო, ვის მოუტრიალდებოდა ენა ჩვენზე აუგის სათქმელად, მაგრამ სტარტზევე ორი თამაში რომ მოვიგეთ, ჩვენთან ზოგიერთი ინგლისზეც კი ალაპარაკდა! ამის მერე, ჩემი აზრით, ბულგარეთთან მარტო საფეხბურთო კომპონენტების გამო არ წაგვიგია. ტრიფონ ივანოვის გაძევებაც შეეძლო ერთ მომენტში მსაჯს და პენალტის დადებაც, მაგრამ არ ჰქნა. აქ ბევრმა ფაქტორმა იმუშავა. ვის სურს ევროპაში მოლდოვას გაქაჩვა? ჰოდა, მსაჯმა არც პენალტი დადო და არც ივანოვი გააძევა. ჩვენთვის ეს გადამწყვეტი მომენტი იყო ამ თამაშშიც და შესარჩევ ციკლშიც. 1:2 იყო და ჩვენც შევუტიეთ, გავიხსენით და უმალ დავისაჯეთ. ბულგარეთი ამას რას გვაპატიებს, თანაც სად გვყავს ისეთი შემსრულებლები, როგორიც თქვენ...

**— ამხანაგურ მატჩებს არ გეგმავთ?**

— კი ვგეგმავთ, მაგრამ მაინც და მაინც ბევრს ვერ ვითამაშებთ. ვის უნდა სპარინგ-პარტნიორად მოლდოვა? აი, საქართველო სხვა საქმეა...

**— კი მაგრამ, რა იქნება, თქვენმა „მოძმე“ რუმინელებმა გამოგიწოდონ დახმარების ხელი და ერთი რუმინეთში და ერთიც მოლდოვაში ითამაშოთ?**

— შევთავაზეთ, მაგრამ იმათ თავისი პრობლემები აქვთ. უძლიერესი შემადგენლობით ვერ შეიკრიბნენ — ჰაჯის მოლდოვასთან სათამაშოთ ხომ არ გამოუშვებენ „ბარსელონადან“? სუსტი შემადგენლობით რომ გვეთამაშონ, არ სურთ — ვაითუ წააგონ და პრესტიჟი შეელახოთ. ალბათ მაინც მოვახერხებთ რამეს, ვთქვათ, რუმინეთის კლუბების ნაკრებს შევხვდებით.

**— მაშ, სერიოზულს არაფერს გეგმავთ ამ შესარჩევ ციკლში?**

— არა, მოლდოვური ფეხბურთი ჯერ არ მომწიფებულა საამისოდ. არარეალურია, სერიოზულ მიზნებზე ვიფიქროთ. თუმცა, განა იმას არ ვემსახურები, რომ სამომავლოდ მყარი საფუძველი გვქონდეს?

მამუკა კვარაცხელია

მოსკოვი — თბილისი

# ცხადაძე დინამოს დუბლებში

## დინამო 1:1 დინამო-2

დინამო: ზოიძე, ზამთარაძე, ლობჟანიძე (ასპინძელაშვილი 75), კალაძე, კობიაშვილი, გოგიჩაიშვილი, ლ. ყიფიანი (გახოკიძე 70), კიკნაძე, კერძევაძე (ანჩაბაძე 20), ხომერიკი, იაშვილი

დინამო-2: ჭანტურია, დიდავა, არჩვაძე (ცხადაძე 25), წერეთელი, გემეზაშვილი, ხორხელი, ქიქველიშვილი, დემეტრაძე, მუჯირი, ჩუხუა, გამცემლიძე

1:0 ხომერიკი (49)

1:1 მუჯირი (80)

საკონტროლო თქვი და, დინამოელთა ეს საშინაო მატჩი საკმაოდ დაბალი გამოდგა. ხისტ, ჯარიმის ზღვრამდე თამაში. კერძევაძეს, მაგალითად, მოსკოვში მიღებული ტრავმა გაუმიზეზდა და მოედნის დატოვება თამაშის დასაწყისშივე მოუხდა.

გოლები მეორე ტაიმში გავიდა. ხომერიკის გოლი თამაშის ბოლოს მუჯირმა მშვენიერი დარტყმით გაქვითა. საერთოდ, მეორე დინამოელები კარგად ირჯებოდნენ და პირველებს არაფერში არ ჩამოუვარდებოდნენ. ნამდვილად აღსანიშნავია სეზონის შუალედში მარნეულის „ალგეთიდან“ „დინამოში“ გადმოყვანილი დათო წერეთელის ჩინებული თამაში. ეს ტანმაღალი, ფიზიკურად ძლიერი მცველი ჯერ მხოლოდ 16 წლისაა. არადა, ასაკის კვალობაზე საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა. თუმცა, აღსანიშნაობა-გამორჩეულობაზე თუ მიდგა საქმე, თამაშზე მისულმა იმისთანა ვნახე, ჯერ თვალებს არ დავუჯერე — „დინამო-2“-ის შემადგენლობაში შეცვლაზე შემოვიდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახი ცხადაძე. კახიმ, მოგეხსენებათ; ახლახან მოიშუშა მძიმე ტრავმა და ეს ეტყობოდა კიდეც მოქმედებაზე — საკმაოდ ფრთხილობდა და ორთაბრძოლაში ჩაბმასაც ერიდებოდა. ცნობისწადილმოძალებული მასთან გასაუბრების შანსს როგორ დავკარგავდი. ჯერ, ცხადია, ჩამოსვლის მიზეზი ვკითხე.

— ოჯახური პირობების გამო ჩამოვფრინდი, გარკვეული პრობლემები მქონდა.

— ფიზიკურად ჯერ კიდევ სუსტად გამოიყურები...

— ეს იმიტომ, რომ სულ ოთხი დღეა



რაც ჩამოვედი და ერთად ალებული 8-9 საათი თუ მეძინა. ისე, ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ. ეგაა, ბურთთან უფრო მიჭირს, ექვსი თვეა სათამაშო პრაქტიკა მაკლდა. ეს კი, ბუნებრივია, თამაშსაც დაემჩნეოდა.

— იმანაც გამაკვირვა, რომ „დინამო-2“-ის მხარეს ითამაშე...

— უბრალოდ, ვარჯიში მჭირდებოდა. თუმცა, მოედანზე გვიან შემოსვლა ავარჩიე, რადგან თამაშამდე მინდვრის საფარი გამყარებული იყო, ჩემთვის კი ასეთ საფარზე ვარჯიში ძალიან სარისკოა. „აინტრახტშიც“ ვერიდები ასეთ პირობებში ვარჯიშს, ან ხელოვნურ საფარზე გასვლას. ეს საკუთარი ხელით ყელის გამოჭრა იქნებოდა. გერმანიაში სიცივეებია, აქ კი მშვენიერი მინდორი, მშვენიერი ამინდია და კარგადაც ვივარჯიშე.

— სრულ დატვირთვებზე როდის გადახვალ?

— სანამ არ ვიგრძნობ, რომ მუხლი სრულად მომირჩა, მანამ ეს სახიფათოა. ექვსი თვე მოვითმინე და ერთი-ორი კვირა რას წყვეტს.

— ნაკრების ხელმძღვანელობა მალე საკონტროლო მატჩების გამართვას აპირებს. იმ დროისთვის მაინც თუ ითამაშებ?

— აუცილებლად. მანამდე, ალბათ, მუხლიც საბოლოოდ მომირჩება.

მერაბ მამულაშვილი



# ჯამარაულიც «ალანიაში»...

ვლადიკავკაზის და მოსკოვის „სპარტაკები“, „ტრაბზონი“, „ქოვენთრი“ — ეს იმ გუნდების არასრული სიაა, რომლებიც გოჩა ჯამარაულით იყვნენ დაინტერესებულნი. გოჩას არჩევანი ოსთა „სპარტაკზე“ შეჩერდა. არადა, ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ინგლისში იმყოფებოდა გასასინჯად და ორი საკონტროლო მატჩიც ჩაატარა. ორივე „ქოვენთრის“ გამარჯვებით დასრულდა. პირველში ამან 5 უპასუხო ბურთი გაიტანა, აქედან ერთი — გოჩამ. მეორეში, „არსენალის“ სათადარიგოებთან, სამი ასეთივე გოლი იკმარეს, ჯამარაულს კი ამჯერადაც გამოუჩენია თავი — ორი გოლი მისი პასით გასულა. თუმცა...

თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას თქმით: „არჩევანი „სპარტაკ-ალანიაზე“ იმიტომ შეჩერდა, რომ ვლადიკავკაზელები წელს ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ და გოჩასთვის იქ თამაში სჯობს. რუსეთში ერთ სეზონს ჩაამთავრებს და შემდეგ ინგლისში გადავა“.

# იტალია არ ისვენებს

საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ იტალიის ნაკრებმა შუა კვირაში მოიწყო შეკრება, სადაც არიგო საკი, ვენეიბლზისა არ იყოს, ტაქტიკური სიახლეების გამოცდით იყო დაკავებული. შეკრების ბოლოს ნაკრებმა მართლაც რომ საწვრთნელი მატჩი გამართა ერთი პატარა ქალაქის იუნიორთა ნაკრებთან და 11:1 „გაიმარჯვა“. აღსანიშნავია დებიუტანტ ენრიკო კიეზას (სამპდორია) გატანილი სამი გოლი. მას არ ჩამორჩა კაზირაგი. დანარჩენი გოლები მალდინიმ, დი მატეო, ტოტიმ და მორფეომ გაიტანეს. კერპებთან მოედანზე შეხვედრით მიღებული ალტაცება ჭაბუკებმა ორი გოლით აღნიშნეს — ერთი მეტოქის, ერთიც საკუთარ კარში. ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ივარჯიშა: ტოლდო, მუსი, აპოლონი, კოსტაკურტა, მალდინი, დი ლივიო, ლომბარდო, დი მატეო, კიეზა, ტოტი, კაზირაგი. შემცვლელებად შემოდიოდნენ და გადიოდნენ ფერარა, ბენარივო, კრიპა და მორფეო.

ეროვნული გუნდის კიდევ ერთი წევრი ალესანდრო დელ პიერო იმ დღეს ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში პერუჯაში უნგრელ თანატოლებს ამხანაგურად ეთამაშებოდა. მასპინძლებმა 4:0 იმარჯვეს და ორი გოლი, მე-6 და 28-ე წუთებზე დელ პიერომ გაიტანა. კიდევ ორი ვიერიმ (32) და გალანტემ (35) შეაგდეს. გუცაევის მომავალმა ვიზავიმ, პაოლო მალდინის მამამ ჩეზარემ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: პაგოტო, კანავარო (ფალკონე 79), კოკო, პანუჩი (ბინოტო 46), გალანტე, ფრეზი, ამეტრანო, ბიჯიკა (გორეტი 62), ვიერი, დელ პიერო (დელვეკიო 62), პეკია (ამბროზინი 46).

ახლა ორივე ნაკრების წევრები საკუთარ კლუბებს დაუბრუნდნენ. ბევრი მათგანი ზეგ ჩემპიონატის უცენტრალურეს მატჩში: იუვენტუსი — მილანი მიიღებს მონაწილეობას. ამ თამაშს ყვითელი ბარათების სიმრავლის გამო გამოტოვებს სავიჩევიჩი. ტურში შინ ხვედრს გაიზიარებენ აგრეთვე ბრამბილა (პარმა), კრისტალინი (ტორინო), პიცი (ნაპოლი), პადალინო (ფიორენტინა), ვიერი (ატალანტა) და პეტრაკი (კრემონეზე).

# ამსტერდამში თოვს, ინგლისში — ხანდახან

ევროპული ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციაში ცალკე ბოსმანურმა პროცესებმა დააბნია ხალხი და ცალკე ამინდის კაპრიზებმა. აგერ, სუპერთასის საპასუხო მატჩიც, ოთხშაბათს ამსტერდამში რომ უნდა გამართულიყო, დიდთოვლობის გამო განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. ორშაბათს ინგლისის თასის მეხუთე წრის მონაწილეები — „ნოტინგემი“ და „ტოტენჰემი“ მოედანზე კი გავიდნენ, მაგრამ 14 წუთში გასახდელში დაბრუნდნენ — ფერადი ბურთის დანახვაც კი ჭირდა. მოკლედ, ამ ქვეყნის თასისა და ჩემპიონატის განრიგი ისე აირია, როდის რა თამაშის ჩატარება მოხერხდება, ღმერთმა უწყის. ამასთან ისიც დაერთო, რომ თასის გათამაშებაში გუნდები, თითქოს ჯიბრზეო, ფრეს ფრეზე აგორებენ და საქმეს გადასათამაშებლად იხდიან. ასე მაგალითად: ოთხშაბათს „ლიდსმა“ შინ „პორტ ვეილს“ ვერ მოუგო — 0:0. ასევე დამთავრდა „ჩელსის“ სტუმრობა „გრიმსბისთან“. იმავე დღეს ბირმინგემში ლიგის თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრა შედგა: „ასტონ ვილამ“, სტუმრად „არსენალთან“ 2:2 რომ ჰქონდა ნათამაშები, შინ ლონდონელებთან 90 წუთში 0:0 გაახერხა. ამ ეტაპზე ინგლისში სტუმრად გატანილი გოლის ფაქტორი კი მოქმედებს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა გუნდები დამატებით დროსაც ითამაშებენ. აქ არაფერი შეცვლილა და ლიგის თასის ფინალში „ასტონ ვილა“ გავიდა.

ოთხშაბათსვე ჩემპიონატის ორი მატჩის გამართვა მოხერხდა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ 2:0 დაამარცხა „ევერტონი“. პირველი გოლი პირველ ტაიმში ირლანდიელმა კინმა გაიტანა ფრანგი კანტონას პასით, მეორე კი მეორე ტაიმში უელსელმა გიგზმა ინგლისელი ზანგი კოულის პასით. ამასობაში „ნიუკასლმა“ სეზონში მეოთხე (ოთხივე გასვლაზე) დამარცხება იწვნია ლონდონში „ვესტ ჰემისგან“ და ლიდერსა და „იუნაიტედს“ შორის ხხვაობა ექვს ქულამდე შემცირდა. ახლა „ნიუკასლი“ შაბათს მანჩესტერს უნდა ესტუმროს და ქინქლაძის „სიტის“ ეთამაშოს. პირველ წრეში ნიუკასლში მასპინძლებმა 3:1 მოუგეს მანჩესტერელებს და იმ თამაშში გიო შეცვალეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 26 | 19 | 3 | 4 | 49:22 | 60 |
| მანჩესტერ იუნ. | 27 | 16 | 6 | 5 | 50:30 | 54 |
| ლივერპული | 26 | 14 | 7 | 5 | 50:22 | 49 |
| ასტონ ვილა | 25 | 13 | 6 | 6 | 35:19 | 45 |
| ტოტენჰემი | 25 | 11 | 9 | 5 | 33:24 | 42 |
| ბლექბერნი | 26 | 12 | 5 | 9 | 40:28 | 41 |
| არსენალი | 26 | 11 | 8 | 7 | 34:25 | 41 |
| ევერტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 39:30 | 40 |
| ნოტინგემი | 26 | 10 | 10 | 6 | 35:35 | 40 |
| ჩელსი | 27 | 10 | 9 | 8 | 31:28 | 39 |
| ლიდსი | 25 | 10 | 5 | 10 | 31:37 | 35 |
| ვესტ ჰემი | 26 | 10 | 5 | 11 | 30:36 | 35 |
| მიდლსბრო | 27 | 9 | 6 | 12 | 28:37 | 33 |
| შეფილდი | 26 | 7 | 8 | 11 | 36:42 | 29 |
| საუთჰემპტონი | 25 | 5 | 10 | 10 | 25:36 | 25 |
| უიმბლდონი | 26 | 6 | 6 | 14 | 36:52 | 24 |
| ქოვენთრი | 26 | 5 | 9 | 12 | 33:49 | 24 |
| მანჩესტერ სიტი | 26 | 6 | 6 | 14 | 16:36 | 24 |
| ქუინზ პარკი | 27 | 6 | 3 | 18 | 22:41 | 21 |
| ბოლტონი | 27 | 4 | 4 | 19 | 28:52 | 16 |

# მიოლერი მარტო შელიას როდი ერჩოდა

ოთხშაბათს პორტუში მასპინძელთა ნაკრები გერმანიის ეროვნულ გუნდს შეხვდა და 1:2 წააგო. ეს გუნდები, ცხადია, საინგლისოდ ემზადებიან, თან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფშიც ერთად არიან — 14 დეკემბერს პორტუგალია კვლავ უმასპინძლებს გერმანელებს, თუმცა არაა გამორიცხული, ზაფხულშივე ერთხელაც ითამაშონ.

პორტუგალიას ამჟამად მეტად ნიჭიერი ფეხბურთელების თაობა ჰყავს და კარგი გუნდიც ეთქმის, მაგრამ გუშინწინ გერმანულ მარწუხებში მოქცეულმა მასპინძლებმა თავისი იერი დაკარგეს და მადლობა უნდა თქვან, კლინსმანი რომ ვერ იყო მთლად იშტაზე, თორემ ანგარიში გაცილებით მეტი იქნებოდა.

ამ შეხვედრას ამხანაგური კი ერქვა, მაგრამ ამხანაგობისა და მეგობრობის გარდა მოედანზე ყველაფერს ნახავდით. საქმეში ჩაუხედავი იფიქრებდა კიდეც, რაიმე ძალიან მნიშვნელოვან პრიზს ეცილებიან ერთმანეთსო. ეს ასეა. ამხანაგური ანუ საწვრთნელი მატჩების ორი ვარიანტიდან — ახალი ტაქტიკისა თუ ფეხბურთელების გამოცდა ან უკვე შემუშავებულის ბრძოლაში გამოცდა — ორივე მწვრთნელმა მეორე ირჩია. გუნდები რისკის ზღვარზე თამაშობდნენ — არც თავს ზოგავდნენ, არც მეტოქეს. რამდენჯერმე შეხლა-შემოხლამდე და სახეში ჩაფარებამდე მივიდა საქმე, თუმცა იტალიელი მსაჯი ბოჯი ბარათების დარიგებას მოერიდა: ერთი რომ, რა აზრი ჰქონდა, მეორეც, ზეგ იგი „იუვენტუს“ — „მილანის“ თამაშს მსაჯობს და ამჯერად იოლად გასვლის პოლიტიკა ირჩია. თამაში გუნდებმა ასეთი შემადგენლობით დაიწყეს:

**გერმანია:** კეპკე, ბაბელი, ციგე, კოლერი, ჰელმერი, ზამერი, მიოლერი, ფროინდი, კლინსმანი, ჰესლერი, კუნცი;
**პორტუგალია:** ვიტორ ბაია, სეკრეტარიუ, დიმაში, ოსეანუ, ფერნანდუ კოუტუ, პაულო სოუზა, ფიგუ, ჟორჟე კოშტა, ჟა პინტუ, ფოლია.

პირველი ათი წუთის ნახვაც საკმარისი იყო გუნდების სერიოზული განწყობის შესაცნობად. დროის ამ მონაკვეთზე ათამდე ჯარიმა მოვიდა, მე-13 წუთზე კი პირველი გოლი გავიდა და ჯარიმების რაოდენობაც გაორმაგდა. გოლი კი ასე გავიდა: მასპინძელთა იერიში ჰელმერმა საკუთარ საჯარიმოში ჩაჭრა, ბურთი ჰესლერს გადასცა და სამი გერმანელი კონტრშეტევაზე გადავიდა. კომბინაციაც უმარტივესი და, ალბათ, ვარჯიშებზე ათასგზის დამუშავებული გაითამაშეს: თავისი მეურვე კლინსმანმა მარჯვნივ გაიტყუა, პასი კი მიოლერს მიუვიდა. ამან კოუტუს ისე ჩაურბინა, როგორც ნიურნბერგის შეხვედრაში შელიას და ისეთივე დარტყმით ანგარიში გახსნა. პორტუგალიელთა პირველი სერიოზული საგოლე მომენტი რვა წუთში აღინიშნა. მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ მასპინძელთა სახიფათო მომენტი მხოლოდ მაშინ იქმნებოდა, როცა სტუმრები რაიმე არაგერმანულ საქციელს, ანუ შეცდომას ჩაიდენდნენ. ასეთი კი სულ ორი იყო. პირველ მოთნახსენებ ეპიზოდში მცველების მ... დაგორებული ბურთი კეპკემ უხეი... დაარტყა, მაგრამ ფიგუმ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. მეორე ასეთი მომენტი კი გოლად იქცა, თუმცა ამაზე ქვემოთ...

29-ე წუთზე ბაიას საჯარიმოში შეჭრილ ზამერს ოსეანუ ისე შეასკდა, პენალტი ყველას უეჭველი ეგონა, მაგრამ მსაჯმა თავი არ აიტკივა. ზამერი კარგა ხანს ვერ წამოდგა, პორტუგალიელებმა კი თამაში არ შეწყვიტეს და შეტევა წამოიწყეს, მაგრამ ფროინდმა არ აცალა — ფიგუ ერთობ უხეშად მოცელა, თან წაქცეულს მივარდა, ბურთი რატომ არ გადააგდე, ხომ ხედავ, კაცი ფეხზე ვერ დგებაო. აქ დიდი საქმის გარჩევა ატყდა და მსაჯმაც რის ვაივაგლახით დააშოშმინა მოშულარნი. ტაიმის ბოლომდე საინტერესო მიოლერის ბაიასთან პირისპირ დარჩენა იყო, მაგრამ გერმანელს დარტყმა ოდნავ აუცდა.

შესვენების შემდეგ ფოგტსმა თამაში ახალი ფეხბურთელები შეიყვანა, მათ შორის ახალბედა, იტალიის „უდინეზეს“ ბომბარდირი ოლივერ ბირჰოფი, მაგრამ ამა ერთობ უსუსური შთაბეჭდილება დატოვა — აშკარად ამოვარდა დაზეთილი მექანიზმიდან, ბურთი კი რვაჯერ მიიღო და შვიდჯერ ეგრევე დაკარგა.

51-ე წუთზე ანგარიში გაყაიმდა. არადა, საფრთხე არსაიდან ჩანდა, როცა კოლერმა რაღაც არაბუნებრივი მოძრაობა გააკეთა, ბურთსაც ასცდა და ფოლიაც კეპკესთან პირისპირ დატოვა — 1:1. ამის მერე ორივე მხარემ ამხანაგური მატჩისთვისაც კი ნამეტანი ბევრი შეცვლა გააკეთა. თამაშიც უფრო ღია გახდა და აქაც გერმანელებმა იმარჯვეს: მიოლერმა 65-ე წუთზე მეორე გოლი გაიტანა, ბოლოს კი კლინსმანმა ბარე სამი ისეთი მომენტი გააფუჭა, ბირჰოფსაც არ ეკადრებოდა.

გიგა კოზახიძე

ოთხშაბათსვე საფრანგეთის ნაკრებმა ნიმში საბერძნეთის ნაკრებს, 8 მაისს ჩვენს ეროვნულ გუნდს რომ უნდა უმასპინძლოს, 3:1 მოუგო, თუმცაკი უკვე მეხუთე წუთზე ალექსანდრისის მიერ გატანილი გოლით აგებდა. ტაიმის ბოლომდე უჟინოლო და უკანტონო ფრანგებმა ანგარიში გაქვითეს (ლოკო 30 წთ), მეორის დასაწყისში კი იმავე ლოკომ (47) და ზიდანემ (49) კიდევ ორი გაიტანეს. ისრაელმა თელ-ავივში ლიტვა სძლია 4:2.

გუშინწინვე ესპანეთის თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში ჩემპიონატის ლიდერმა „ატლეტიკომ“ სტუმრად 5:2 მოუგო „ვალენსიას“. არადა, პირველი ტაიმის მერე მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ.


## საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი №19 24-26 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| 1. | იუვენტუსი-მილანი | იტალიის ჩემპიონატი |
| 2. | ინტერი-ატალანტა | იტალიის ჩემპიონატი |
| 3. | უდინეზე-პარმა | იტალიის ჩემპიონატი |
| 4. | ფიორენტინა-ნაპოლი | იტალიის ჩემპიონატი |
| 5. | ატლეტიკო-სელტა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6. | ბარსელონა-ბეტისი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7. | კომპოსტელა-რეალი | ესპანეთის ჩემპიონატი |

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 24 თებერვალს 16.00 სთ-ზე.

მე-18 ტირაჟის შედეგები

1. 3-2 2. 0-1 3. 2-1 4. 1-0 5. 0-2 6. 1-2 7. 0-0

მოგებები: ხუთი მატჩი — 210 ლარი (2 ვარიანტი). ექვსი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK-POT — 1500 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში. შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK-POT — 2810 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში. სარეზერვო ფონდი 755 ლარი.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, აზმეტელი, სამგორი. ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგებები გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მე-3 სართ. ფირმა „ესკიზი“ (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

ძიუდო

# მარტო ლიცენზიას რა აზრი აქვს?



უკვე საბოლოოდ გაირკვა იმ ძიუდოისტების ვინაობა, რომლებიც ევროპაში გაემგზავრნენ ატლანტის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად. მათთვის, ვისაც ლიცენზია განაღდებული აქვს, ეს ტურნე კონტინენტის პირველობისთვის და, საკუთრივ, ოლიმპიადისთვის მოსამზადებელი პერიოდი იქნება. თუ რომელ ტურნირებში იასპარეზებენ ქართველი ფალავნები, ამის თაობაზე წინა „სარბიელში" გაუწყეთ. ამჯერად კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ჩვენი ნაკრების წევრებს:

| | |
|---|---|
| 60 კგ: | გიორგი ვაზაგაშვილი |
| 65 კგ: | გიორგი რევაზიშვილი, ამირან ტოტიკაშვილი |
| 71 კგ: | ვლადიმერ დგებუაძე |
| 78 კგ: | სოსო ლიპარტელიანი |
| 86 კგ: | გიორგი წმინდაშვილი, ივერი ჯიქურაული |
| მძიმე: | დავით ხახალეიშვილი, ალექსი დავითაშვილი |

მთავარი მწვრთნელი: ბერდია გუგავა, მწვრთნელი: ბიძინა მოზევიშვილი

Atlanta1996

ოთხშაბათს, გამგზავრების დღეს, გავესაუბრეთ **ბერდია გუგავას:**

**— რეალობიდან გამომდინარე, რას გეგმავთ ექვს ევროპულ ტურნირზე?**

— ამ ექვს ტურნირზე ლიცენზიისთვის საჭირო ქულების მაქსიმუმის მოპოვებას ვგეგმავთ. ჩვენი ვარაუდით, ევროპის ჩემპიონატამდე ეს საქმე მოთავებული უნდა გვქონდეს. ევროპის ჩემპიონატი ოფიციალური შეჯიბრებაა. იქ ძალიან ძნელია ქულებისთვის ბრძოლა, ისევე, როგორც რაიმე ახლის მოგონება ან გაკეთება. ერთი სიტყვით, ამ ტურნირებიდან ყველა ლიცენზიებით უნდა ჩამოვიდეს. ევროპაზე სხვა საფიქრალი გვექნება.

**— გუნდის წევრთაგან არავინაა 95 კილოგრამამდე წონის მოჭიდავე. ამ წონაში ლიცენზიის აღებაზე ხელი ჩაიქნიეთ?**

— არა, რა თქმა უნდა. 86-ში ორი კაცი მიგვყავს — წმინდაშვილი და ჯიქურაული. პირველი, მიუნხენის ტურნირის შემდეგვე გაირკვევა, გადავა თუ არა ჯიქურაული 95 კგ-ში. თუ ასე მოხდა, ივერი ლიცენზიისთვის გააგრძელებს ბრძოლას ახალ წონაში. თუ არა, გვაქვს სარეზერვო ვარიანტიც: მესამე ტურნირისთვის თბილისიდან გამოვიძახებთ მევლუდ ლობჟანიძეს, სხვა შანსი არ გვექნება. მევლუდმა ნაკრების შემადგენლობაში შეკრება სრულად გაიარა და საჭიროების შემთხვევაში მზად იქნება გუნდს დაეხმაროს. ვიმეორებ, ეს იმ შემთხვევაში, თუ ჯიქურაული 95 კგ-ში არ გადავა.

**— 71 კგ-ში თითქოს უიმედო მდგომარეობა იყო. ახლა კი გუნდში ვლადიმერ დგებუაძე გამოჩნდა...**

— შორიდან დავიწყებ. ეს წონა ყველაზე მეტად გვიჭირდა. გავსინჯეთ რამდენიმე კაცი, მაგრამ მათ შანსები ნულის ტოლი იყო. ყველაზე უკეთ გურამ მოდებაძე გამოიყურება, მაგრამ მე ვესაუბრე მას, ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი, ამ წონაში უნდა ვეძებოთ კაცი, რომელიც ატლანტაში მედლისთვის იბრძოლებს-მეთქი. გურამი ლიცენზიას კი აიღებდა, მაგრამ სპორტს ჩამოშორებული იყო და ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლა გაუჭირდებოდა..

შემდეგ, მეგონა, ჯონდო მუზაშვილი იჭიდავებდა, მაგრამ პროგნოზი არ გამიმართლდა. ჯონდო სამბისტია და ადაპტაცია გაუჭირდა. სამბოსა და ძიუდოს შორის დიდი განსხვავებაა... ლევან სულხანიშვილი კი ოლიმპიადისთვის ძალიან პატარაა, მას ყველაფერი წინ აქვს.

აქედან გამომდინარე, დადგა ვლადიმერ დგებუაძის სპორტში დაბრუნების საკითხი. ამ უნიჭიერეს ძიუდოისტს ჭიდაობისთვის თავი დანებებული ჰქონდა. მე მჯერა მისი — იგი ლიცენზიასაც მოიპოვებს და ატლანტაშიც იტყვის სათქმელს. თვითონ ძალიან მონდომებულია და იძახის — სპორტში ჩემი ხელახალი დაბადება ოლიმპიური მედლით უნდა დაიწყოსო. ვნახოთ, რა იქნება.

**— ოთხ წონაში ლიცენზიები მოსაპოვებელია. ვაზაგაშვილს, ლიპარტელიანს და ხახალეიშვილს ეს პრობლემა უკვე გადაჭრილი აქვთ. ისინი რამდენ ტურნირს იჭიდავებენ? მონაწილეთა რაოდენობა ცალკეულ შეჯიბრებაზე შვიდს ხომ არ უნდა აღემატებოდეს?**

— ლიცენზირებულ მოჭიდავეთათვის ამ ტურნეს უფრო მოსამზადებელი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ერთ-ორ ტურნირს ესენიც იჭიდავებენ. ჯერჯერობით, ვის რომელ შეჯიბრებაზე გავიყვან, არ ვიცი. პირველ ტურნირში კი, დანამდვილებით გეტყვით, რომ იასპარეზებენ: ხახალეიშვილი, დავითაშვილი, წმინდაშვილი, ჯიქურაული, ლიპარტელიანი, რევაზიშვილი და ტოტიკაშვილი. ვაზაგაშვილი და დგებუაძე დაისვენებენ. შემდეგ კი ვიფიქრებთ, როგორ გადავაწყოთ შემადგენლობა.

**— დავითაშვილის სახით ხახალეიშვილის „დამზღვევი" გვყავს თუ ალექსიზე სხვა იმედებსაც ამყარებთ?**

— ჯერ ერთი, დავითაშვილს ევროპის ჩემპიონატზე აბსოლუტურ პირველობაში აქვს საჭიდაო. მეორეც, ახალგაზრდა კაცია და გამუდმებული პრაქტიკა სჭირდება. ისე, ღმერთმა დაგვიფაროს ყოველგვარი „დაზღვევებისგან". ეს იმას ნიშნავს, რომ ხახალეიშვილმა ოლიმპიადისთვის ტრავმა უნდა მიიღოს. რა-რა და, ტრავმები ნამდვილად არ გვინდა. სამწუხარო ისაა, რომ ოლიმპიადაზე მხოლოდ მძიმე წონის შეჯიბრია და აბსოლუტური არ არის. რომ იყოს, დავითაშვილს ატლანტაშიც ექნებოდა გამოსვლის შანსი.

**— ერთ-ერთ სალიცენზიო, შვეიცარიის ტურნირზე, მახსოვს, ექსპერიმენტი გაკეთდა: გიორგი ვაზაგაშვილი 71 კგ-მდე წონაში გამოვიდა და იქ შეეცადა სალიცენზიო ქულების დაგროვებას. სხვათა შორის, წარმატებითაც. ხომ არ არის მოსალოდნელი მსგავსი შემთხვევები ამ ტურნირებშიც?**

— არა. იმედი მაქვს, 65-შიც და 71-შიც ლიცენზიებს ამ წონებში არსებული ძალებით მოვიპოვებთ: დგებუაძეზე უკვე გითხარით. რევაზიშვილის ქულების საკმაო მარაგი უკვე აქვს. ტოტიკაშვილი კი, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონია და მის შესაძლებლობებზე თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი მეტყველებს. ისე, თუ ქვეყანა დაიქცა და გამოუვალ მდგომარეობა შეგვექმნა, ვაზაგაშვილმა შეიძლება 65 კგ-ში იჭიდაოს. გიორგიმ იცის ამის შესახებ, შეთანხმებულები ვართ და მზადაა თანაგუნდელებს დაეხმაროს ლიცენზიის მოპოვებაში. მაგრამ მეორე მხარეც არის: მარტო ლიცენზიის აღებას რა აზრი აქვს? მთავარი ოლიმპიადაა და იქ უკვე ყველას თავ-თავის წონაში უამრავი საქმე ექნება. ატლანტაში ვერავინ ვერავის მიეხმარება. ეს ბიჭებმაც კარგად იციან და ამიტომაც ყველაფერს გაიღებენ გამარჯვებისთვის. ბოლოსდაბოლოს, საქართველოს ყველაზე მეტი იმედი ძიუდოისტებისა აქვს და ამ ნდობას გამართლება უნდა..

მერაბ რატიშვილი

მთამსვლელობა

# აკონკაგუაზე

# გაანდინისტებულნი

ანდების უმაღლეს მწვერვალ აკონკაგუაზე მოლაშქრე გია თორთლაძესა და მთელი ექსპედიციის წევრებს, სულ რუსები რომ იყვნენ, 5 800 მეტრზე ასვლისას გულზე შემოეყარათ, როცა იქ ორი დღის წინათ დატოვებული საჭურვლის ერთი კომპლექტი მოისაკლისეს. აღარც ხელთათმანები დახვდათ, აღარც წერაყინი, თხილამურების ჯოხები თუ წრიაპები. სამაგიეროდ დახვდათ ბარათი, რომელშიც ეწერა, დიდი ბოდიში, მაგრამ თქვენი საჭურველი სხვის ჩამოსაყვანად ძალიან დამჭირდა, მიმაქვს და ბუენოს-აირესში თუ დამირეკავთ, ყველაფერს უკლებლივ დაგიბრუნებთო. ჯერ იფიქრეს ვიღაც ოხუნჯობის ხასიათზე დამდგარაო. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს. ისევ წერილს დახედეს, კიდევ ერთხელ ჩაიკითხეს...

ღმერთმანი, არგენტინის დედაქალაქში, სიცხისაგან ქუჩებს ბული რომ ასდიოდა, კარგი დროისა იქნებოდა დაბრუნება. ის ყველაფერი მთამსვლელებს 5800 მეტრის ზემოთ ასასვლელად სჭირდებოდათ. ამიტომაც იყო ექსპედიციის მეთაურმა სერგეი ეფიმოვმა თავისი აღჭურვილობა იქ რომ დატოვა. საკლიმატიზაციო ასვლისას უფიქრია, ეს ყველაფერი არც ჩასასვლელად მჭირდება, არც აქამდე ამოსასვლელად, ამეების თრევაში ენერგია რატომ დავხარჯოო და ამიტომაც დატოვა. დატოვა და ცარიელ-ტარიელზე დარჩენილი საგონებელში ჩავარდა, რაკილა ყინულზე უწრიაპოდ სიარული ასკინკილობანას ნიშნავდა, თანაც უფსკრულების თავზე, წერაყინი კი მთამსვლელისთვის იგივეა, რაც მესამე ფეხი და მესამე ხელი.. ახლა ეს უხელთათმანობა! მერედა სად, კორდილიერებზე, თანაც ცენტრალურზე და მის უმაღლეს მწვერვალზე, თავისებური მიკროკლიმატი რომაა, რაკილა იგი წყნარ და ატლანტის ოკეანეებს შორის აღმართულა და კაი გვარიანი ყინვებია. თუმცა, გვარიანიო, ვწერთ, მაგრამ ეს ძალზე შერბილებული ნათქვამია, რადგან იმ დღეს იქ მინუს 35 გრადუსი იყო. ჰოდა, უხელთათმანოდ სიარული იგივე გახლდათ, კაცმა ხელები რომ წინასწარ საოპერაციო მაგიდაზე თითების მოსაკვეთათ დადო. არადა, კაცი ოკეანეს გაღმა გადაფრინდე, სადღაც გადასაკარგავში აზვიდე, მიზნამდე ცოტაღა გაშორებდეს და ვიღაცის ოინბაზობის გამო აღარ აზვიდე, დაგვერწმუნებით, „შესანიშნავი" რამაა. პარადოქსული ისაა, რომ ეს დაემართა ექსპედიციის მეთაურს, ფრიად გამოცდილი და ძლიერი მთამსვლელი რომ არის. თვად განსაჯეთ, ამ ეკატერინებურგელ მთამსვლელს დაულაშქრავს ჯომოლუნგმაც, ჩოგორიც, კანჩენჯანღაც, დჰაულაგირიც... საკავშირო ჩემპიონატები რომ იმართებოდა, თანაგუნდელებთან ერთად ექვსჯერ ოქროს მედალი მოიპოვა, აქედან ხუთჯერ-ზედიზედ, რითაც სხვები თავს ვერ მოიწონებენ.

ახლა ის თანაგუნდელ-თანაქალაქელებიც იქ ჰყავდა: ვალერი პერშინი, ნიკოლოზ სიტნიკოვი; და კიდევ კამენსკელი სერგეი აბრამოვი, პერმელი ბორის სედუსოვი, ანგარსკელები სერგეი ნაუმოვი, ოლეგ ივანოვი, კონსტანტინე კუროვი, თბილისელი გია თორთლაძე.

ამათგან თორთლაძე აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც საჭურველი იქ არ დატოვა.

— საბაზო ბანაკში ისეთი საეჭვო არგენტინელები ირეოდნენ, საჭურველს სხვაგან რა დამატოვებინებდა. აბა, წარმოიდგინეთ, ჩემთვის რომ საჭურველი მოეპარათ და ამიტომ მწვერვალზე ველარ ავსულიყავი, ამას თბილისში ვინ დამიჯერებდა! — გვეუბნება გია თორთლაძე.

თორთლაძე ეფიმოვის ძველი მეგობარია. არაერთხელ ერთად ასულან მწვერვალებზე. ჰიმალაის ექსპედიციაშიც ყოფილან ერთად. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ეფიმოვმა თორთლაძეს დაურეკა, აბა, პირობაზე როგორა ხარ, აკონკაგუაზე ხომ მოდიხარო. თუმცა, კითხვა რად უნდოდა და თორთლაძემაც გუდანაბადი აიკრა და თან დათო ტურაშვილი გაიყოლა. გუნდში კიდევ ერთი უცხოელი იყო — ესპანელი მთამსვლელი, ამიტომაც ექსპედიციას საერთაშორისო ეწოდა. თუმცა, ის ესპანელი ამ ექსპედიციაში კი ირიცხებოდა, მაგრამ დამოუკიდებლად მოქმედებდა.

მოსკოვიდან 23 თებერვალს რომ გაფრინდნენ, ბუენოს-აირესს 23 საათის მერე ჩააღწიეს. იქ გაგანია ზაფხული დახვდათ, პაპანაქება იყო მენდოსაშიც, იმავე დღეს რომ ჩავიდნენ. იქ ორი დღე პროდუქტებზე სირბილს მოუნდნენ და მერე ავტობუსით სოფელ პლაზა დე ინკაში ოთხი საათის მგზავრობის მერე ავიდნენ. აქედან საბაზო ბანაკამდე ქვეითი ლაშქრობა დაიწყო. ორ დღეში უკან მოიტოვეს ორმოცი კილომეტრი და 4200 მეტრის სიმაღლეზე საბაზო ბანაკი დასცეს. იქ სიცივესთან ერთად მრავალი ქვეყნის უამრავი მთამსვლელი დახვდათ. ვილას არ ნახავდით — თავად არგენტინელებს, ჩილელებს, ამერიკელებს, იაპონელებს, ესპანელებს, ფრანგებს, ბელგიელებს, ინგლისელებს...

— ინგლისელებმა დათოსთან ერთად ჩემი ქართველობა რომ გაიგეს, უმალ გამოცოცხლდნენ და გარს შემოგვეხვივნენ, — გვიამბობს გია. — მანჩესტერელები ყოფილან და გიორგი ქინქლაძის თამაშს მთლად გადაურევია ისინი. უდიდესი პატივით იხსენიებდნენ. ეგეთი ფეხბურთელი არა გვყავსო. თქვენმა თანამემამულემ „სიტი" გამოაცოცხლა და წინ დასძრაო. ეგ ჩვენი ღმერთი და მხსნელი არისო. ამა და ამ თამაშში ნახევარი გუნდი ასე და ისე მოატყუაო. ესა თუ ის ფეხბურთელი ასე და ისე აპამპულავაო. როგორც პიროვნება გადასარევი ტიპიაო. ერთი სიტყვით ცაში აიყვანეს. ეს ყველაფერი გვსიამოვნებდა და გვეამაყებოდა. ამ ინგლისელებთან მწვერვალის ძირში თუ მის ფერდობებზე შეხვედრა ქინქლაძეზე საუბრით იწყებოდა და ამითვე თავდებოდა. ინგლისელები რომ ქინქლაძის წყალობითაც საქართველოს იცნობენ, ეს საკვირველი არ არის. იმან გამაკვირვა, რომ არგენტინელებმა, ვისაც კი შევხვდით და ვესაუბრეთ, ყველამ ბევრი რამ იცოდა საქართველოზე. წინათ იქ, მგონი მხოლოდ ჭეიშვილები ცხოვრობდნენ, ბოლო წლებში კი არგენტინაში ბევრი ქართველი ჩასულა, მათ შორის ცხრა თბილისელი მუსიკოსიც, იქაურ სიმფონიურ ორკესტრში რომ უკრავენ, გასტროლებზე მთელ დუნიაზე დადიან და მათ ოსტატობას ტაშს უკრავენ. საქართველოში ვერაფერი გავაწყვეთ, აქ კი ჩვენს საქმეს ვაკეთებთო. ამ მუსიკოსებსა და ბრწყინვალე ადამიანებს მენდოსაში შევხვდით. მენდოსა არგენტინელების კახეთია. ყურძნის უამრავი ჯიშები აქვთ და მრავალნაირი ბრწყინვალე ღვინო. ქართველმა მასპინძლებმა ბევრი მათგანი გაგვასინჯეს. შეხვედრაზე დავარ ნაკაშიძეც მოიყვანეს, უკვე 47 წელი იქ რომ ცხოვრობს. ქართველები რომ გვნახა და ჩვენი წარმატების ამბავი შეიტყო, გული ამოუჯდა. ჭეიშვილების ოჯახშიც ასე იყო, ბუენოს-აირესში.

ახლა კვლავ აკონკაგუას ფერდობებზე დავბრუნდეთ.

საბაზო ბანაკამდე მთამსვლელები მწვერვალის სამხრეთიდან ადიოდნენ. აკონკაგუას ამ ფერდობზე თოვლის ვეება ბალიშები იდო, ჩრდილოეთიდან კი თითქმის სულ მოშიშვლებული, ოქროსფრად აელვარებული მწვერვალი იხილეს. ეს ბუნებრივი გახლდათ — აკონკაგუა ხომ სამხრეთნახევარსფეროშია. იქ მზეც „უკუღმა" ამოდის და მწვერვალის ფერდობებსაც, კავკასიონის, პამირის, ტიან შანის, ჰიმალაისა თუ სხვა მრავალი მთებისაგან განსხვავებით ჩრდილოეთიდან უფრო დაჰნათის. ისიც საინტერესოა, რომ არგენტინელი მთამსვლელები თავიანთ თავს ალპინისტებს კი არა, ანდინისტებს უწოდებენ.

რუსულ-ქართულ-ესპანური ექსპედიციის წევრებმა აქ ორიოდე დღით დაისვენეს, მერე საკლიმატიზაციოდ 5 400 მეტრამდე ავიდნენ. მეორე საკლიმატიზაციო ასვლა, ღამისთევით, 5 900 მეტრამდე მოაწყვეს. იქ სწორედ მაშინ დატოვეს მთამსვლელებმა თავიანთი საჭურველი, უკან დაბრუნდნენ და კიდევ ორი დღით დაისვენეს, მწვერვალზე „ნამდვილი" ასვლა კი 4 თებერვალს დაიწყეს, ოღონდ სიტნიკოვის გარეშე, რაკი ავად გამხდარიყო. ფილტვები აწუხებდა და საშინელი ხველება აუტყდა. სიტნიკოვმა შარშან დედამიწის უმაღლესი მწვერვალი დალაშქრა და მას მერე ენერგი ვერაფრით აღიდგინა, აკონკაგუას ფერდობებზე კი მთლად დასუსტდა.

პირველი ღამე კვლავ 5 400 მეტრზე გაათიეს. იქ მრავალი გუნდის წევრები ყურებჩამოყრილები იდგნენ — მეტეოროლოგიური ცნობა მიუღიათ, რაღაც [illegible] ციკლონი ახლოვდებაო. ჰოდა, იმათაც გუდა-ნაბადი აკრეს და ქვემოთ [illegible] თან ჩვენებურის და [illegible] „[illegible]ბურებსაც" [illegible] ბრუნდით, [illegible] დაუცადეთ.

— მაგრამ ციკლონის გადავლამდე ყურყუტის დრო სად გვქონდა. უკან დასაბრუნებელი ბილეთები ჯიბეში გვედო, სამაგიეროდ არ გვედო საკმარისი ფული, რომ სხვებივით იქ ყოფნა გაგვეხანგრძლივებინა და მეორე დღეს ჩვენც ზემოთ წავედით. 6 200 მეტრზე ასულებს საშინელი ქარი წამოგვეწია. იქ მყოფი სხვა ქვეყნების მთამსვლელებიც ქვემოთ ეშვებოდნენ. მწვერვალისკენ დილის რვა საათზე დავიძარით. საშინელი ყინვა და ისეთი ქარი იყო, იქაურობას ანგრევდა. მარშრუტი თოვლ-ყინულოვანი კი იყო, მაგრამ რთული დასაძლევი არ აღმოჩნდა. ამიტომ ერთმანეთის დაუცველად ვიარეთ. თოკი საერთოდ არ გამოგვიყენებია. ეგ კია, ეფიმოვი პერშინთან თოკში ჩაება, რადგან ექსპედიციის მეთაური უწრიაპოდ და უწერაყინოდ იყო დარჩენილი. ამის გარეშე სიარული კი, რაც არ უნდა იოლი იყოს სავალი, მაინც სახიფათოა, მითუმეტეს ყინულზე, სადაც, ღმერთმა უწყის, როდის მოგისხლტება ფეხი. ეფიმოვს ხელებზე ჩვენი სათადარიგო წინდები წამოვაცვით და წაღებული თუ მოპარული საჭურვლის პრობლემა ამ გვარად გადავწყვიტეთ.

— ქედი, რომელზეც ჩვენ ავდიოდით, ორ ხეობას შორის იყო გაჭიმული. მარჯვნივ ჩრდილოეთის ფერდობები იყო, მარცხნივ — სამხრეთისა, ერთმანეთისაგან საოცარი კონტრასტულობით რომ განსხვავდებიან. 6 500 მეტრ სიმაღლეზე ჟანგბადის ნაკლებობა საკმაოდ იგრძნობოდა. აქ თავს ისე ვგრძნობდით, როგორც ჰიმალაიზე დაახლოებით 7 000 მეტრ სიმაღლეზე. 6 800 მეტრზე ქარი შედარებით ჩაცხრა. უფრო სწორედ აქ ცოტა მოფარებული ადგილი იყო და შვებაც ვიგრძენით. მწვერვალს პირველ საათზე მივაღწიეთ — გვიამბო გია თორთლაძემ.

მწვერვალზე გიამ ფოტოები გადაიღო და იქაურობა ვიდეოფირზეც აღბეჭდა. მერე მასაც გადაუღეს საქართველოს დროშითა თუ „ენისელის" ბოთლით ხელში.

რა თქმა უნდა, გიას „ენისელი" მწვერვალზე გადასახუხად და გამარჯვების აღსანიშნავად არ აუტანია. მსგავსი რამ ჭკუათმყოფელს აზრადაც არ მოუვა, რაკილა ასეთ სიმაღლეზე კონიაკის ერთადერთი ყლუპიც საკმარისია, რომ კაცი პარიპარალოს ხასიათზე დააყენოს, მერე კი რითი დასრულდება ეს დიმპიტაური, მხოლოდ მამაზეციერმა როდი იცის.

გია თორთლაძემ ჩვენი კონიაკის ამგვარი რეკლამით მადლობა გადაუხადა და სამსახური გაუწია თავის სპონსორს, სააქციონერო საზოგადოება „ენისელს" (გუჯა ბუბუტეიშვილი).

ასე უხიფათოდ და უთავგადასავლებოდ დალაშქრეს აკონკაგუა.

გია თორთლაძე და მისი რუსი თანაგუნდელები აღმოჩნდნენ ერთადერთნი, ვინც იმ დღეებში ანდების უმაღლეს მწვერვალზე ფეხი შედგეს.

ავთანდილ გურასაშვილი



# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. მე-20 ტური

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი — ზანქტ პაული | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ჰამბურგი — კიოლნი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ლევერკუზენი — მიონხენგლადბახი | 1,5 | 2,7 | 4,0 |

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიუნხენ 1860 — აინტრახტი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| დორტმუნდი — ჰანზა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ფრაიბურგი — შტუტგარტი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| კარლსრუე — ვერდერი | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| ფორტუნა — შალკე | 2,0 | 2,5 | 2,5 |

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — ბაიერნი | 2,8 | 2,8 | 1,7 |

ინგლისის ჩემპიონატი. 28-ე ტური

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი — ლივერპული | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ბოლტონი — მანჩესტერ იუნაიტედი | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ქოვენთრი — მიდლსბრო | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ევერტონი — ნოტინგემი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| მანჩესტერ სიტი — ნიუკასლი | 3,8 | 2,8 | 1,5 |
| ქუინზ პარკი — ლიდსი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| საუთჰემპტონი — ჩელსი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ტოტენჰემი — შეფილდი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ვესტ ჰემი — არსენალი | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| უიმბლდონი — ასტონ ვილა | 2,5 | 2,5 | 2,0 |

იტალიის ჩემპიონატი. 23-ე ტური

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — ვიჩენცა | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| კრემონეზე — კალიარი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ფიორენტინა — ნაპოლი | 1,3 | 2,7 | 6,0 |
| ინტერი — ატალანტა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| იუვენტუსი — მილანი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| პადოვა — ლაციო | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| რომა — ტორინო | 1,3 | 2,7 | 6,0 |
| სამპდორია — პიაჩენცა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| უდინეზე — პარმა | 2,3 | 2,4 | 2,3 |

ესპანეთის ჩემპიონატი. 28-ე ტური

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სანტანდერი — დეპორტივო | 2,3 | 2,4 | 2,3 |

25 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — ბეტისი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| ვალენსია — ოვიედო | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| კომპოსტელა — რეალი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| სალამანკა — რაიო ვალეკანო | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ტენერიფე — სარაგოსა | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ალბასეტე — მერიდა | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| სოსიედადი — ვალიადოლიდი | 1,2 | 3,2 | 5,6 |
| ატლეტიკო — სელტა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სპორტინგი — ესპანიოლი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| სევილია — ატლეტიკი | 1,4 | 2,8 | 4,4 |

შოტლანდიის ჩემპიონატი. 27-ე ტური

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — რეინჯერსი | 2,6 | 2,6 | 1,9 |
| სელტიკი — პარტიკი | 1,1 | 3,1 | 9,0 |

თურქეთის ჩემპიონატი. 22-ე ტური

23 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბურსასპორი — ფენერბაჰჩე | 4,0 | 3,0 | 1,4 |

24 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — ტრაბზონსპორი | 1,6 | 2,6 | 3,6 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

გერმანია. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9

ინგლისი. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9

იტალია. 21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9

ესპანეთი. 27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 50 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (50 თეთრი).

**ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.**

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | | 2-0 | | 1-3 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | 0-2 | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | | 1-0 | 1-1 | | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | | | 4-1 | | | 1-0 | 1-0 | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | 2-0 | 3-2 | | | 0-0 | | | | 1-3 | | [illegible] |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | 1-2 | | ■ | | 1-2 | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | [illegible] | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | 2-0 | 1-0 | ■ | | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 1-1 | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | 2-0 | | 4-1 | | | 0-1 | 3-1 | | | | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-2 | 3-2 | 4-2 | | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | [illegible] | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | | 1-0 | 0-2 | | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | | ■ | | | 1-0 | 0-1 | | | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | | 3-1 | 3-1 | ■ | | 1-1 | 3-3 | | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | | 2-1 | | | 0-5 | 1-3 | | 0-2 | | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | 0-1 | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | 2-0 | | | | | 4-2 | ■ | | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | | 0-2 | 2-2 | 0-0 | | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | 2-0 | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | | 1-1 | | 2-0 | 0-1 | | 0-1 | | | | | | 1-1 | 0-0 | | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | | 0-2 | | 1-1 | | | 1-1 | 1-1 | 1-1 | | | 2-0 | 2-5 | 1-1 | | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | | 1-2 | | 2-0 | | 3-2 | | | 1-4 | | | | 4-0 | 5-3 | |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | | | 3-0 | | | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | | | 6-3 | |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | | | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | | | | | | 2-4 | 4-1 | | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | 1-0 | 4-1 | 3-4 | | ■ | | 3-0 | | | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | | 0-3 | 2-1 | | | | | 0-2 | 1-2 | | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | | | 1-1 | | | | 1-2 | |
| 9 | HAMBURGER SV | | | 2-1 | 2-2 | | 5-1 | | | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | | | ■ | 3-0 | | | | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | | 1-2 | 2-0 | | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | | | 1-1 | |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 0-2 | | ■ | 1-0 | | | | 1-2 | |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | | | ■ | | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | | 1-1 | |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | | | 0-1 | 0-3 | | | | 2-1 | | | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | | | 1-2 | | 2-0 | | 1-1 | | 1-3 | 1-1 | 2-1 | | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | | | | | 2-3 | | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | | | | 2-2 | | 1-1 | | 1-1 | | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | | | | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | 1-3 | 2-2 | | |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | | ■ | 0-0 | | 3-3 | | 0-0 | | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | | 2-0 | 2-2 | | | 1-0 | 2-1 | | | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | | | 4-0 | 2-0 | | ■ | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | | | 1-1 | 3-1 | | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | | 2-1 | | ■ | 0-0 | 1-0 | | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | | ■ | 2-0 | 1-1 | | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | | 0-1 | 2-1 | | | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | | 2-1 | ■ | 3-2 | | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | | 0-1 | | | ■ | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | | ■ | 3-1 | | | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | | | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | | 3-0 | | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | | | 0-3 | 0-1 | | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | | 1-0 |
| 17 | UDINESE | | 1-2 | 1-0 | 3-2 | | | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | | | 1-1 | | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | | 2-1 | | 1-1 | | | | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | | | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | | 1-1 | 1-1 | | | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | | | | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | | | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | | 1-0 | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | | ■ | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | | 1-0 | 3-1 | | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | | 3-0 | 5-2 | | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | | 1-1 | 2-0 | | | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | | 1-0 | ■ | 3-1 | | 2-0 | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | | 1-2 | 1-0 | | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | | | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | | | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | | 0-1 | | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | 1-1 | 3-2 | | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-0 | 3-3 | | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

# სიახლე!

## ახალი თამაში

# CROCO-2

თამაშის მიზანია ტირაჟში მოცემული რვა მატჩის პირველი ტაიმისა და ძირითადი დროის შედეგების გამოცნობა. მოგებულად ჩაითვლება ვარიანტი, სადაც მოთამაშემ 8, 7 ან 6 მატჩის ორივე (პირველი ტაიმი და ძირითადი დრო) შედეგი გამოიცნო. ერთ ბილეთში შეიძლება თითოეული მატჩის შედეგების (პირველი ტაიმი და ძირითადი დრო) სამი სხვადასხვა ვარიანტის შეტანა. გამოუყენებელი გრაფა უნდა გადაიხაზოს შემდეგნაირად: – – შესაბამისად, ერთ ბილეთში შეტანილი ვარიანტთა მაქსიმალური რაოდენობაა $3^8=6561$.

შესაბამის გრაფებში უნდა ჩაიწეროს ტირაჟის ნომერი და ვარიანტების რაოდენობა.

## ნიმუში

CROCO-2

| № | 45 | 90 | 45 | 90 | 45 | 90 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | X | 1 | – | – | – | – |
| 2 | X | X | X | 1 | – | – |
| 3 | 2 | 1 | – | – | – | – |
| 4 | 1 | X | – | – | – | – |
| 5 | X | 1 | 1 | X | X | X |
| 6 | 2 | 2 | – | – | – | – |
| 7 | X | X | X | 2 | – | – |
| 8 | 1 | 1 | – | – | – | – |

ვარიანტების რაოდენობა | 1 | 2 |

ტირაჟის ნომერი | 0 | 0 |

CROCO-2

| № | 45 | 90 | 45 | 90 | 45 | 90 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | X | 1 | – | – | – | – |
| 2 | X | X | X | 1 | – | – |
| 3 | 2 | 1 | – | – | – | – |
| 4 | 1 | X | – | – | – | – |
| 5 | X | 1 | 1 | X | X | X |
| 6 | 2 | 2 | – | – | – | – |
| 7 | X | X | X | 2 | – | – |
| 8 | 1 | 1 | – | – | – | – |

ვარიანტების რაოდენობა | 1 | 2 |

ტირაჟის ნომერი | 0 | 0 |

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდი შეადგენს ტირაჟში შემოსული თანხის 75% (25%-25% 8, 7 და 6 მატჩის გამომცნობთათვის). გაუთამაშებელი თანხა გადადის შემდეგი ტირაჟის მოგების ფონდში (JACK POT).

მოთამაშე დაზღვეულია მოგების მინიმალური ოდენობით: 8 მატჩის გამოცნობა – 500 ლარი. 7 მატჩის გამოცნობა – 100 ლარი და 6 მატჩის გამოცნობა – 20 ლარი.

მოგების მაქსიმალური თანხა შეზღუდული არაა.

ბილეთის ორივე მხარე ერთნაირად ივსება. არასწორად შევსებული ქვითარი არ განიხილება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება.

ბილეთის ფასია 2 თეთრი.

### ტირაჟი №01

**იტალიის ჩემპიონატი**

01. ბარი – ვიჩენცა
02. კრემონეზე – კალიარი
03. ფიორენტინა – ნაპოლი
04. ინტერი – ატალანტა
05. პადოვა – ლაციო
06. რომა – ტორინო
07. სამპდორია – პიაჩენცა
08. უდინეზე – პარმა

### ტირაჟი №02

**ესპანეთის ჩემპიონატი**

01. ბარსელონა – ბეტისი
02. ვალენსია – ოვიედო
03. სალამანკა – ვალეკანო
04. ალბასეტე – მერიდა
05. სოსიედადი – ვალიადოლიდი
06. ატლეტიკო – სელტა
07. სპორტინგი – ესპანიოლი
08. სევილია – ატლეტიკი

«ოაზისი»

კითხვის მოყვარულთათვის

გამოვიდა ახალი

გაზეთი

ახალგაზრდებისთვის

და არა მარტო მათთვის

# გზა ასე გაიკვალა

## ქართული თხილამურები 65 წლისაა

ეს ახლაა, ბაკურიანის ხსენებაზე უმალ თხილამურებიანი ხალხი რომ წარმოგვიდგება თვალწინ. მაგრამ მოვლენას თავისი დასაწყისი აქვს და იყო ის დროც, როდესაც თხილამურები ჩვენში უცხო ხილი იყო. ძველად საქართველოს მთიანეთში მონადირენი ხმარობდნენ ე. წ. საბიჯებელ თხილამურებს, თოვლზე სასრიალოს კი ჩვენში არავინ იცნობდა. წლევანდელ ზამთარს ქართულ სამთოსათხილამურო სპორტს 65 წელი შეუსრულდა. ჩვენც ქალბატონ მარიამ სულხანიშვილის ოჯახში ვართ, იმ ადამიანის ოჯახში, რომელიც ამ სპორტის სათავეებთან იდგა. ქალბატონი მარიამი იხსენებს: „საქართველოში სათხილამურო სპორტის განვითარების იდეა გიორგი ნიკოლაძეს ეკუთვნის – ქართული სპორტის დიდ მოამაგეს. გიორგი ნიკოლაძე მრავალმხრივი სპორტსმენი იყო. 1918 წელს მისი თაოსნობით დაარსდა სპორტული საზოგადოება „შევარდენი", სადაც ბევრი სპორტის მოყვარული ბევრი ახალგაზრდა გაერთიანდა. 1920 წლიდან მეც ამ საზოგადოების წევრი ვიყავი, ტანმოვარჯიშე. 1929 წელს გიორგი ნიკოლაძეს პირველად დაებადა აზრი საქართველოში სამთოსათხილამურო სპორტის განვითარების შესახებ. იგი ყოფილა საზღვარგარეთ, სადაც უნახავს შეჯიბრები ამ სახეობაში და გადაწყვიტა, სპორტის ეს სახეობა საქართველოშიც დაენერგა. 1929 წლის ზაფხულში ნიკოლაძემ რამდენიმე ახალგაზრდა წაგვიყვანა იმ გზების ასარჩევად, სადაც შემდეგ თხილამურებით სრიალს შევძლებდით. მაშინ საზოგადოება „შევარდენში" ტანვარჯიშის მწვრთნელი ვიყავი. ბაკურიანიდან ბორჯომამდე მთებში გზა ფეხით გავიარეთ. ამ დროს ჯგუფში მოვიდა სამწუხარო ცნობა: თეთნულდზე დაიღუპნენ ცნობილი ალპინისტები სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი. ამ ამბავმა ძალიან იმოქმედა ნიკოლაძეზე და მან თავისი იდეის განსახორციელებლად ველარ მოიცალა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს მისმა მოწაფეებმა, მთამსვლელმა გიტო გიორგაძემ და გოგი ბაქრაძემ, რომელმაც გერმანიაში ყოფნისას შეისწავლა თხილამურებით სრიალი. მათთან ერთად იყო შალვა მაყაშვილიც. ამ ახალგაზრდებს ხელს უწყობდა ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის დირექტორი სანდრო ჯავახიშვილი. მან ბაღის ტერიტორიაზე სპორტსმენებს პატარა შენობა გამოუყო. 1931 წელს ბაკურიანის ბოტანიკური ბაღში უკვე ოფიციალურად დაარსდა გიორგი ნიკოლაძის სახელობის სათხილამურო ბაზა. ამ ბაზაზე შეიძლებოდა თხილამურების შოვნა. ბაზას ჰყავდა ინსტრუქტორებიც, რომელნიც ახალბედებს სრიალს ასწავლიდნენ – შალვა მაყაშვილი, გოგი ბაქრაძე და სხვები. მალე ბაკურიანში მასობრივად დაიწყო ჩასვლა ახალგაზრდობამ. მაგრამ ამ სპორტის პროპაგანდისთვის მეტი იყო საჭირო. და აი, 1932 წელს გიტო გიორგაძის წინადადებით გადაწყდა სათხილამურო გადასვლის მოწყობა კავკასიონზე. ბევრი ამ აზრს ეჭვით უყურებდა, რადგან ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, 1932 წლის 28 თებერვალს სპორტსმენთა ჯგუფი შეუდგა ამ ჩანაფიქრის განხორციელებას. ჯგუფის შემადგენლობაში რვანი იყვნენ: ხელმძღვანელი გიტო გიორგაძე, სანდრო გვალია, ვალენტინ იარიშევი, ვიქტორ მალოვიჩკო, შალვა მაყაშვილი, ჯანსუღ ფურცელაძე და ორი ქალი – თინა ხოსიტაშვილი და მე. სათხილამურო გადასვლის სვლაგეზი ასეთი იყო: ფასანაური – ბურსაჭირის უღელტეხილი (გუდამაყრის ხეობით) – სნოს ხეობა – ყაზბეგი – თრუსოს ხეობა – ურუსთვალ-ტევციკის უღელტეხილი – კატლასანის ხეობა – როკის უღელტეხილი – ცხინვალი. როდესაც თბილისიდან ფასანაურში ჩავედით, დავრწმუნდით, რამდენი სიძნელე გველოდა წინ. ბევრი ფასანაურელი ურჩევდა გიტოს, ხელი აეღო განზრახვაზე, განსაკუთრებით დაუშვებლად მიაჩნდათ ამ გადასვლაში ქალების მონაწილეობა, რადგან იმ წელს ძალზე მკაცრი, უხვთოვლიანი ზამთარი იყო. მაგრამ ჩვენ ჩვენ აზრზე ვიდექით და ფასანაურიდან გუდამაყრის ხეობით წავედით. არაჩვეულებრივი ზილამაზის სურათები გადაგვეშალა. მივაღწიეთ ბურსაჭირს. ღამეც იქ გავათიეთ გომურში და სნოს ხეობით ყაზბეგისკენ გავემართეთ. მეორე დღეს ძალიან გაგვიჭირდა, ტანსაცმელიც და ფეხსაცმელიც სველი გვქონდა და თხილამურებით სიარულს გვიძნელებდა. მაგრამ ალარაფერს ვაქცევდით ყურადღებას, ისეთი სილამაზე იყო ირგვლივ. განსაკუთრებით გაგვიჭირდა ბურსაჭირის უღელტეხილზე გადასვლა. თოვლი გაყინული იყო და მოძრაობა ჭირდა. გაყინულები ჩამოვედით სნოს ხეობაში. სოფელ კარკუჩაში ერთმა დიასახლისმა შეგვიფარა. როგორც იქნა, გავთბით. შემდეგ ყაზბეგში ჩამოვედით, სადაც ჩვენს გარშემო ხალხი შეიკრიბა. გიტო გიორგიძემ უამბო შეკრებილთ ფათერაკებით აღსავსე მოგზაურების შესახებ და თრუსოს ხეობით განვაგრძეთ გზა. გადავდიოდით ურუსთვალ-ტევციკის უღელტეხილით, რომლითაც ზაფხულშიც კი იშვიათად სარგებლობს მოსახლეობა. წარმოიდგინეთ, ალბათ, რა სიძნელეებთან გვქონებოდა საქმე. გზა ძალიან გრძელი და რთული გამოდგა. ყინავდა. იმედი გვქონდა სადმე შევაფარებდით თავს, მაგრამ ადამიანის სადგომი არსად შეგვხვედრია. ისე დავიღალეთ, რომ ხან ერთს, ხან მეორეს, სახლები, სინათლე მოგვეჩვენებოდა ხოლმე. ერთ ჩვენგანს თხილამური ჩაუსრიალდა ხევში. სიბნელეში გზასაც ვერ ვიკვლევდით და იძულებული გავხდით გავჩერებულიყავით. ზურგჩანთებზე დავსხედით და ...მგლების ყმუილიც შემოგვესმა. ქალალდებს ცეცხლი წავუკიდეთ და მგლებმაც თავი დაგვანებეს. ღამეს ბევრ ჩვენგანს ფეხის თითები მოეყინა. გათენებისას, როგორც იქნა, ვინმე ბესტაევების ოჯახში აღმოვჩნდით. გავთბით, დავისვენეთ და კვლავ განვაგრძეთ გზა როკის უღელტეხილით ცხინვალისკენ. ეს გზა შედარებით მარტივი იყო, მაგრამ ჩვენთვის, დაღლილ-დაქანცულთათვის ეს არ იყო შეღავათი. თხილამურები ორფუთიან გირებად გვეჩვენებოდა და ასე ჩავედით ცხინვალში, სადაც ჩვენმა მეგობარმა დათა გელაძემ შეგვიფარა და დაგვაპურა."

ქალბატონ მარიამის მოგონებაც აქ დამთავრდა. იგი სიამოვნებით იხსენებს ამ ხიფათით სავსე მოგზაურობას. ეს გადასვლა დღევანდელი პირობებისთვისაც უნიკალურია, თუმცა, ალბათ, არც არავინ მოისურვებს გადასვლას. მაშინ კი ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა – ეს იყო ჩვენში სათხილამურო სპორტის განვითარების პროპაგანდა, თვალსაჩინო დადასტურება ჯანსაღი, სპორტული ცხოვრების უპირატესობისა. შემდეგ დაიწყო ნამდვილი სათხილამურო ბუმი. ბაკურიანს მიაძალნენ – ახალგაზრდები, ბავშვები და იგი ნელ-ნელა ხდებოდა სათხილამურო სპორტის ცენტრი არა მარტო საქართველოში. ქალბატონი მარიამი შემ[illegible]



მარიამ სულხანიშვილი

გახდა და ამბობს, რომ სათხილამურო სპორტი დიდად უწყობდა ხელს სხვა სახეობის სპორტსმენებსაც საკუთარი სხეულის ფლობის ტექნიკაში. ომის შემდგომ კი ბაკურიანში მთელი საბჭოთა კავშირიდან ჩამოდიოდნენ თხილამურების ტრფიალნი. ბაკურიანი მსოფლიო სათხილამურო რუკაზეც გამოჩნდა. იყო ქართველ მოთხილამურეთა მიღწევებიც. მართალია, უმთავრესად საკავშირო მასშტაბით, მაგრამ იყო კობა წაქაძეც – „მფრინავი ტორპედო", რომლის სახელიც დიდად იყო ცნობილი 60-იანი წლების ტრამპლინიდან მხტომელთა შორის. მერე გაჩნდა გუდაურიც, სადაც მწვრთნელები დღესაც ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ბავშვები ამ შესანიშნავ სახეობას აზიარონ. „სხვა პერსპექტივებზე კი ჯერ ლაპარაკი ძალიან ადრეა – გვითხრა განათლების სამინისტროს სამთო-სათხილამურო სპორტსკოლის დირექტორმა გელა მიქაბერიძემ – რადგან ჩვენი სკოლა ჯერ კიდევ 10 წლის წინ შეძენილი ინვენტარით ემსახურება ბავშვებს. და თუმცა ყველანაირ, უფრო კი პირადი ნაცნობობით, გზებს ვეძებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, ეს მაინც ძალზე ძნელია".

რას იზამ, ფაქტია – სათხილამურო სპორტს მთებისა და თოვლის გარდა ფულიც ბევრი სჭირდება. დღევანდელ პირობებში კი ასეთი ძვირი სპორტის მაღალ, საერთაშორისო დონეზე აყვანა შეუძლებელია. თუმცა, სამთო-სათხილამურო სპორტი მაინც არსებობს. მწვრთნელები ყველანაირად ცდილობენ, რომ პატარებს მაინც შეასწავლონ ის მინიმუმი, რითაც ისინი მთიდან თხილამურებით დაშვების ხიბლს შეიგრძნობენ. ალბათ დენის პრობლემაც მოგვარდება და ჩვენი სათხილამურო სპორტის მექა – ბაკურიანიც გამოცოცხლდება (დენი, მოგეხსენებათ იმისთვისაცაა საჭირო, რომ მოთხილამურეთა მაღლა ასაყვანმა საბაგირო გზამ იმოძრაოს).

ასეთია სამთო-სათხილამურო სპორტი საქართველოში თავისი დაბადების 65 წელს და ალბათ რჩება იმედი იმისა, რომ მთებისა და ამდენი თოვლის გარდა ოდესმე გამოჩნდება იმდენი ფულიც, რომლის წყალობითაც ჩვენი მოთხილამურეები უმაღლეს სათხილამურო ელიტაში შევლენ და მოწიწებით გაიხსენებენ იმ პირველ მოთხილამურეთა სახელებს, რომელთაც მათ ეს გზა გაუკვალეს.

ილია მხეიძე



1932 წელი. მოთხილამურეთა სტარტი ფასანაურში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შემოუშველებული სიტყვა

# ბოსმანი და მზიური საქართველო

ჟან მარკ ბოსმანის სახელი გაგეგონებათ — უმისოდ დღეს სუფრა არ გაიშლება ევროპაში. იმსიმორეს გაუვარდა სახელი, რომ ყველას უნდა ეს საოცარი ახალგაზრდა კაცი დაპატიჟოს. ძველ და კურთხეულ დროში კი საქმე ისე იყო, რომ ფეხბურთელს მხოლოდ თამაშით თუ გაიცნობდი. მისი სახელი მიხსავე თამაშზე იყო დამოკიდებული, თორემ კარიერის დასრულების შემდეგ ესა თუ ის მოთამაშე ალარავის ახსოვდა. ვინც ალღოს ვერ აუღებდა, ან მულამს ვერ დაუჭერდა მოედანსგარეთა ცხოვრებას, ნაგავსაყრელზე ასრულებდა ცხოვრებას.

დღეს საქმე სხვაგვარადაა.

ფეხბურთელები ლამის საზოგადო მოღვაწეებად იქცნენ.

თანაც, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ბურთაობაში გამორჩეული კაცი იყო. ეს ნახსენებმა ბოსმანმაც დაადასტურა. ბოსმანის დიდი გამარჯვება ფეხბურთის თავკაცებსა და ბობოლებზე ჯერ თვალშისაცემსა და მყვირალა შედეგებს არ იძლევა, მაგრამ გაივლის ორი-სამი წელი და თუ ფეხბურთელთა შრომით პურისმჭამელმა ხალხმა „ბოსმანები" თავის ნებაზე მთუშვა, ნახავთ რაც მოხდება.

გასული ორი წელიწადი სათამაშო სპორტის ვარსკვლავთა ხმის ამაღლების დრო იყო. გაიფიცა NBA, გაიფიცა NHL. აქ საქმე ფულზე იყო.

მერე სახეცვლილმა „ბუნტის" სიომ ალმოსავლეთით გამოიქროლა და პარიზში ფეხბურთელთა ასოციაციის შექმნა გამოცხადდა. თუ კი ვინმეა უუფლებო ფეხბურთში, ისევ ფეხბურთელიო, თქვეს მარადონამ და სხვებმა.

ყოველივე კი უსახელო ბოსმანის სასამართლოში სირბილმა დააგვირგვინა. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში პირველად ფეხბურთელი კი არ დასაჯეს, არ წაართვეს, არ დააჯარიმეს, არამედ პირიქით — რაღაცის უფლება მისცეს.

მაგრამ ეს იქ — ევროპაში.

და რასა იქმს ჩვენი პატარა, მზიური და არეულ-დარეული სამშობლო? „ბოსმანის საქმე" თუ მსოფლიო ფეხბურთის კიდით-კიდემდე გაჯდება ძარღვებში, ღარიბ საფეხბურთო ქვეყნებში დიდად მძიმე ვითარება შეიქმნება.

ამ ჩვენი პატარა საქართველოს გაძვალტყავებულ კლუბებს ხომ საერთოდ ყველანაირი შემოსავალი დაეკარგებათ. დაიხურავს ფეხბურთელი ქუდს და წავა სხვა კლუბში, ძველ კლუბს კი რა? ვირის თავ-ფეხი?

ჩვენს მოწინავე გუნდებსაც კი არაქელას იმდენი ვალი დასდებიათ, რომ მთელი ლოქაუთის განმავლობაში ქალაქ-ქალაქ დააწოწიალებენ თავიანთ ოდნავ ვარგის მოთამაშეებს — აგერ, კარგი ბიჭი ჩალის ფასადო.

ჭეშმარიტად თქმულა, ვეფხვი და კურდღელი ორთავ თავისუფალია, მაგრამ ჯუნგლებში კურდღელს იმავე წამს შეჭამენო.

მაგრამ ეს ერთი ჭირია.

„ბოსმანური" თავისუფლება კი ჩვენში თავისებურად გაიგეს. უფრო სწორად, მას ნასმენი მისცეს. სიდუხჭირითა და უპატრონობით თავგზააბნეულმა ერთ-ერთმა უძველესმა ქართულმა კლუბმა ქუთაისის „ტორპედომ", როცა ველარაფერი გააწყო, დიდი რუსეთის ფლაგმან მოსკოვის „სპარტაკს" ფრთის ქვეშ აყვანა, ანუკ ფარმ-კლუბობა შესთავაზა.

ფარმ-კლუბი იმას ნიშნავს, რომ დიდ გუნდში კლასის მომკლები კაცი ამ ხელქვეით გუნდში გამოისტუმრონ დასჯა-სტაჟირების სახით, ხოლო პატარა გუნდში ვარგისი კაცი დიდში გადაიყვანონ. „ტორპედო" ბარემ მეოთხედი საუკუნე გახლდათ თბილისის „დინამოს" არაოფიციალური ფარმ-კლუბი, მაგრამ მაშინ კომუნისტები იყვნენ და ფეხბურთელს კი არა, ცეკას მდივანს ერქვა უუფლებო.

ბოსმანის საქმის ამგვარი გაგება ხომ საერთოდ ხელს მოუთავებს ჩვენს ფეხბურთს.

მსმენია, რომ „რეალს" „კასტილია" ჰყავს ფარმ-კლუბად, მაგრამ „ლოკერენი" ან „ჟენეს ეში" რომ ჰყავდეს, არ გამიგია. ასეთი თავისუფლება არ არსებობს. აქ ღირსება უდრის ნულს — „ლოკერენის" მხრიდან.

მაგრამ კლუბის არსებობა გარანტირებულია... ესეც ქართველური გა-ბოსმან-ება.

**გოგი ახვლედიანი**
მესვეტე



მაიკლ ტაისონი და მისი შეფი დონ კინგი თადარიგს იჭერენ 16 მარტის შერკინებისათვის, რომელშიც ლას-ვეგასის „ემ-ჯი-ემ გრენდ ჰოტელში" კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბკ) მძიმეწონოსანი ჩემპიონის სარტყელს უნდა შეეცილონ ბრიტანელ ფრენკ ბრუნოს, სურათზე ოჯახთან რომაა ალბეჭდილი. საქმე ისაა, რომ ბრუნოსთან უწინარეს შებმაზე პრეტენზია აქვს მეორე ბრიტანელს, ექს-ჩემპიონ ლენოქს ლუისს. ამიტომაა, რომ ტაისონსა და კინგს მოუთხოვიათ ლას-ვეგასის სასამართლოსათვის 16 მარტის შერკინების საჩემპიონოდ გამოცხადება, ვინაიდან შიშობენ, რომ ლუისის ბანაკი სასამართლოს საწინააღმდეგო განაჩენს გამოატანინებს.

ამასობაში, სწყენია თავად ჩემპიონ ბრუნოს, რომლისთვისაც მედიას დაუბრალებია, შერკინებისათვის სარგო 4 მილიონი დოლარი ეცოტავაო. ბრუნო ამბობს, ერთობ კმაყოფილი ვარ ჩემი წილით, რუპერტ მერდოქის „ფეიფერვიუ" საკაბელო ტელეარხიდან რომ მერგებაო. მერდოქი ამ არხის გახსნას ბრუნო — ტაისონის ჩხუბის ტელერეპორტაჟით აპირებს.

## აქეთური, იქითური და ა.შ.

**თხილამურები** სამთომოთხილამურეთა მსოფლიო პირველობა სიერა-ნევადაში (ესპანეთი) შარშან თუ უთოვლობამ ჩაშალა, წელს ოდნავ შეაფერხა ნისლმა და ძლიერმა ქარმა. ქალთა კომბინაციის შემადგენელი სწრაფდაშვება პარასკევს გაიმართა. რაკი შაბათ-კვირა საკუთრივ საჩემპიონო სწრაფდაშვებებს დაეთმო, კომბინაციისეული ორივე სლალომი ორშაბათს გაიმართა. ამ სამი ნომრის ჯამში გაიმარჯვა შვედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პარნილა ვიბერგმა, ვინაც ორ წამზე მეტი მოუგო ავსტრიელ ანიტა ვახტერს. მერე ვაჟთა სწრაფდაშვების ჯერი დადგა, მაგრამ ქარი ერთობ გაძლიერდა. შეჯიბრი სამშაბათისთვის გადადეს, მაგრამ ნისლმა ოთხშაბათისთვის გადაატანინათ. სამაგიეროდ, იმ ღამით პროჟექტორების შუქზე გაიმართა ორივე სლალომი. საბოლოოდ, ვაჟთა კომბინაციაში მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი შეჯიბრების უხუცესი მონაწილე, 32 წლის ლუქსემბურგელი მარკ ჟირარდელი. მეორე ადგილზე გავიდა 1993 წლის მსოფლიოსა და 1994 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, ნორვეგიელი ლასე კიუსი, მესამეზე კი — ავსტრიელი გიუნტერ მადერი.

**ჩოგბურთი** ჯენიფერ კაპრიატი 15 თვის შემდეგ ბოლოსდაბოლოს დაუბრუნდა საშეჯიბრებო ჩოგბურთს. მიუხედავად იმისა, რომ 19 წლის ამერიკელმა ქალმა პარიზელი მოსეირეები წინა კვირაში დაალალატა, ესენის (გერმანია) ტურნირის ორგანიზატორებმა ჯენის მაინც შეახვედრეს ვაილდ-ქარდი. პოდა, გამოსწორებულმა ნარკომანმაც შეიშნო პატივი და ოთხშაბათს პირველსავე წრეში დაამარცხა მე-7 ნომრად განთესილი ქრისტი ბუგერტი (პოლანდია) 6:1, 6:2. ქალთა ტურის მეორე შეჯიბრში, ოკლაჰომა-სითიში (აშშ) რომ იმართება, პირველმა ნომერმა ჩანდა რუბინმა (აშშ) სტარტზე 6:7, 6:3, 7:5 მოუგო ვეტერან პემ შრაივერს. ვაჟთა ტურში ორი დიდი შეჯიბრია — ანტვერპენსა (ბელგია) და მემფისში (აშშ). პირველგან № 1 ბორის ბეკერია, № 2 ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) კი პირველსავე წრეში გააგდო განუთესელმა უკრაინელმა ანდრეი მედვედევმა 6:1, 6:3. მეორეგან ასპარეზობს ამერიკელი პიტ სამპრასი, ვინაც ორშაბათიდან ისევ მსოფლიოს პირველი ჩოგანია. პიტმა სტარტზე 6:3, 7:5 დაამარცხა თანამემამულე რიჩი რენებერგი.

**კრივი** ორგანიზაციის (ვბო) ექს-ჩემპიონ თომი მორისონს ხელმეორე ანალიზითაც დაუდასტურდა შიდსის გამომწვევი ვირუსი. ამას მოკრივის დისკვალიფიკაცია მოყვება. მორისონი ახლა თავისსავეით დასნებოვანებულ კალათბურთელ მეჯიქ ჯონსონთან შეამხანაგებასა და ერისათვის შიდსის არსის განმარტებას აპირებს.

**მძლეოსნობა** საფრანგეთის ქალაქ ლიევენის ჭერქვეშა შეჯიბრს ლამისაა ოსლოს „ბიშლეტის თამაშების" რეპუტაცია შეექმნას, რაკილა იქ ხუთი წელია, რაც სისტემატურად მყარდება მსოფლიო რეკორდები. აი, კვირასაც, ნამიბიელმა ფრანკი ფრედრიქსმა ერთბაშად წამის მესამედი „ჩამოათალა" ბრიტანელ ლინფორდ ქრისთის მიერ იქვე, შარშან დამყარებულ ჭერქვეშა მსოფლიო რეკორდს და 200 მეტრი 19,92 წამში გაირბინა. იმავე დღეს კინაღამ კიდევ ორი რეკორდი გაუმჯობესდა, მაგრამ მოზამბიკელ ქალ მარია მუტოლას 800 მეტრზე, ბურუნდელ ვაჟ ვენუტსი ნიანგბოს კი 2 000 მეტრზე სულ მცირედი დააკლდათ. სამაგიეროდ, წინადღით სიდნეიში მოასპარეზე რუსმა დედაკაცმა ოლგა კუზენკოვამ ურო 68,46 მეტრზე მოისროლა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ჭოკისა არ იყოს, ქალები უროსაც ამ ბოლო ხანს გაუშინაურდნენ და ევროპის 1998 წლის პირველობაზე მოსინჯავენ ძალას.

**ცურვა** მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი 100 და 200 მეტრზე ბრასში, ავსტრალიელი ქალი სამანთა რაილი წყალჯომარდობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) დაინდო და დოპინგზე მხილების გამო არ დაუსჯია. სამაგიეროდ, ორი წლით აუკრძალეს მუშაობა რაილის მწვრთნელ სქოთ ვოლკერსს, ვისაც შეგირდის შეცდენა დაბრალდა. საგულისხმოა ისიც, რომ დიდი მოცურავე ქალი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრალიელივე დონ ფრეიზერი ფინა-ს კატეგორიულად მოუწოდებდა, ორწლიანი დისკვალიფიკაცია თავად მოცურავისთვის მიეცა.

## ოვალური კრიალოსანი

**ერთი კვირის** თავზე, 1 მარტს უნდა დაიწყოს პროფესიული რაგბის ხანის პირველი ელიტარული შეჯიბრება — „ზეთორმეტის პირველობა", სამი სამხრეთელი ბუმბერაზის — აფრიკის, ზელანდიისა და ავსტრალიის ბობოლა პროვინციები რომ მონაწილეობენ და სამ თვეს, 26 მაისამდე რომ გაგრძელდება.

პირველსავე ტურში პალმერსთონ-ნორსში (ზელანდია) ველინგთონის „გრიგალებმა" ოქლენდის „ცისფრებს" უნდა უმასპინძლონ, მაგრამ დახეთ უბედურებას, ზელანდიელი მსაჯები თავიანთ რაგბის კავშირს პორონარის სიდიდის გამო ვერ მორიგებიან. ისინი იმდენს ითხოვენ, რამდენსაც ავსტრალიელ კოლეგებს შეპირებიან: 20 ათას დოლარის კონტრაქტზე ხელის მოწერისათვის, პლუს 1 500 დოლარს ყოველი ნამსაჯი მატჩისთვის. კავშირისა და მსაჯთა ასოციაციის მოსარიგებლად ბოლო ვადად ორშაბათია დათქმული. თუ კონსენსუსი ვერ იქნა, „ზე-თორმეტის" დაწყება შეიძლება გადაიდოს.

**რჩეული** თორმეტეულის წევრები გამალებულ სამზადისში არიან. ზელანდიის ოქლენდსა და ოთაგოს შრი-ლანკაზე უნდა გაემართათ ორი საჩვენებელი მატჩი: ერთი — დედაქალაქ კოლომბოში, მეორე — ქალაქ კანდიში, მაგრამ იმის გამო, რომ იანვრის ბოლოს თამილმა სეპარატისტებმა კოლომბოს ცენტრში მორიგი ყუმბარა ააფეთქეს, ზელანდიელებმა ამ მშფოთვარე კუნძულზე სტუმრობა გადაიფიქრეს.



კლოჰესის 26-კვირიანი სასჯელი ემძიმა და ჩვენს

**კიდევ** ერთი ზელანდიელი მონაწილე — ქენთებრი უკვე სამხრეთ აფრიკაშია. შაბათს იგი ქეიფთაუნში ეთამაშა ქარრის თასის შარშანდელ ფინალისტს — იქაურ დასავლეთ კონცხს. მასპინძლებს დაუშავდათ ერთადერთი ზანგი „ქურციკი" (ქვეყნის ნაკრების წევრი), გარემარბი ჩესთერ ვილიამსი. მან ისე იტკინა მუხლი, რომ შეიძლება გაუცდეს მთელი სეზონი, რომლის განმავლობაშიც აფრიკელები ჯერ ორ წრედ შეეჯიბრებიან „ოლ ბლექსს" (ზელანდიას) და „ვოლაბებს" (ავსტრალიას), მერე კიდევ სამ ტესტში უმასპინძლებენ ზელანდიელებს, შემოდგომაზე კი თავად ეწვევიან არგენტინასა და საფრანგეთს და იქაც ორ-ორ ტესტს გამართავენ, რითაც სეზონში 11 მატჩი გამოუვათ.

**სამხრეთ** აფრიკაში შინაომები გრძელდება. სულ ერთი წლის წინ იყო, იქაურმა რაგბის კავშირმა მთავარი ალმასრულების თანამდებობა რომ შემოილო და მასზე ცნობილი ჟურნალისტი ედვარდ გრიფითსი დააყენა. ამ ერთი კვირის წინ გრიფითსმა კავშირის გიჟმაჟ პრეზიდენტ ლუი ლუიტისგან მიიღო ექვსსტრიქონიანი ბარათი, აქაოდა გადაყენებული ხარო. გრიფითსი მიზეზით რომ დაინტერესდა, ლუიტი ჩვეულებისამებრ დაიმალა. მისგან ვერც მედიამ შეიტყო რამე. მაშინ გრიფითსმა თქვა, ლუიტი ეტყობა იმან გამინაწყენა, კავშირის ფული ზანგური რაგბის განვითარებას მართლა რომ შევაწიე და არა უცხოელთათვის თვალში ნაცრის შესაყრელადო და სასამართლოში ჩივილიც დააპირა, აქაოდა ნამუსი ნებას არ მაძლევს, ჩემს მიერ დაწყებული ამდენი დიდი საქმე შუა გზაზე ბედის ანაბრად მივატოვოო, მაგრამ ერთ დღეში მოტყდა და ახლა უკვე სხვაგვარად ალაპარაკდა, რაც უნდა მოხდეს, სამხრეთაფრიკულ რაგბს მაინც იხეთ პატივსა ვცემ, რომ მის მმართველებს სასამართლოში ჩივილს აბა როგორ ვკადრებო.

**ხუთი ერის** პირველობაზე შოტლანდიას 2 მარტს შინ გადამწყვეტი მატჩი ელის ინგლისთან. სქოთები თუ „უფროს ძმასაც" დაამარცხებენ, მეოთხედ მოიგებენ დიდ სლემს, რაკილა აქამდე უკვე უძლევიათ ირლანდია, საფრანგეთი და უელსი. სქოთებს უკვე გამოუცხადებიათ, რომ ინგლისს შეახვედრებენ იმავე თხუთმეტეულს, რომელმაც შაბათს უელსიც დაამარცხა.

**იმავე** შაბათს საფრანგეთი — ირლანდიის თამაშში სტუმართა ბურჯმა პიტერ კლოჰესიმ დაწიხლა წაქცეული მეტოქე ოლივიე რუმა, რისთვისაც კვირასვე სახელდახელოდ შეკრებილმა ტრიბუნალმა ნახევარწლიანი (26-კვირიანი) დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ბურჯი ახლა ჩივის თავისსავე რაგბის კავშირში. ესეც თვის ბოლომდე აპირებს სასჯელის გადასინჯვას.

**ინგლისის** გაპროფესიულებული კლუბები თანდათან მოდიან მადაზე. ლონდონის „სერეზინზმა" მსოფლიოს უპირველესი დამრტყმელის, ავსტრალიელი მაიქლ ლაინაფის კვალად გადაიბირა ფრანგი შუამარბი ფილიპ სელაც, ვისაც ნაკრებში თამაშის სიმრავლით (111 კეპი) მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს. სელა სეზონს მშობლიურ „აჟენში" ჩაამთავრებს, შემოდგომიდან კი ლონდონის კლუბში გადავა.



ორგზის პროფესიონალი ჯონ დევრო რაგბის პირველ მსოფლიო თასზე (1987)

**უქმად** არ მჯდარა მანჩესთერის „სეილიც", ვისაც ლაინაფის ყოფილი თანაგუნდელისათვის, მსოფლიოს უპირველესი მელელოვის — დევიდ ქემფიზისათვის დაუდგამს თვალი. „სეილს" საშემოდგომოდ შეუპირებია უელსის ნაკრების ყოფილი შუამარბი ჯონ დევროც, ვინაც 1989 წელს გადასულა ლიგის რაგბში, სადაც ამჟამად „ვიდნესში" თამაშობს. რაკი ბრიტანეთში ლიგის რაგბი ამიერიდან საზაფხულო სპორტი იქნება, დევრო მთელ წელს პროფესიულ ბურთაობაში გაატარებს: ზამთრობით თხუთმეტკაცას ითამაშებს, ზაფხულობით — ცამეტკაცას. მობურთალს ამის გამო უთქვამს, არაფერი გამიჭირდება, რადგანაც რაც ლიგელი შევიქენ, არდადეგებს ავსტრალიაში ვატარებდი და იქაც შეუსვენებლივ ვთამაშობდიო.

**ლიგის** გა-ზაფხულებისა და მოშულარი რაგბების შერიგების წყალობით იორქშირის მთავარი სარაგბო სტადიონი ამიერიდან მთელი წელი დატვირთული იქნება: მასზე ზამთრობით რაგბს ითამაშებს „ჰედინგლი", ზაფხულობით კი ლიგას — „ლიდსი".

## აგლა-უგდა

# ფარსი კეტარამის სტადიონზე

თითოდღიანი კრიკეტის VI მსოფლიოს თასზე გაილია საწყისი ერთი კვირა. რა თქმა უნდა, კარგი, დაძაბული თამაშებიც გაიმართა, მაგრამ სალაპარაკოდ ყველას მაინც შრი-ლანკაზე ავსტრალიისა და ვესტ-ინდოეთის ჩაუსვლელობა აქვს.

ამ გუნდების სიფრთხილე იოლი ასახსნელია: ბათქა-ბუთქში ცხოვრებასა და კრიკეტის თამაშს უჩვევი არიან. არადა, თვით ლანკური ხელისუფლება ისე შეუშინებია ჯაფნას ნახევარკუნძულის გამოსაყოფად მებრძოლი „თამილ-ილამის გამათავისუფლებელი ვეფხვების" ტერორისტულ გამოხდომებს, რომ მთელს ქვეყანაში სკოლები განუსაზღვრელი ვადით დაუხურავს და ისიც ეეჭვება, ემანდ სასმელი წყალი არ მოეწამლათო. სამაგიეროდ, იგივე ხალხი ზღვისრეთელ და კარიბელ სტუმრებს ურცხვად უმტკიცებდა, ჩვენთან საშიში არაფერიაო.

ავსტრალიასა და ვესტ-ინდოეთს შრი-ლანკასთან წაგება მიესაჯათ და სამ-სამი მილიონი (!) დოლარითაც დაჯარიმდნენ. ვესტ-ინდოეთს კოლომბოში თამაში 25 თებერვალს უწევს და კიდევ შეუძლია გადაიფიქროს, ავსტრალიამ კი „შატალო" შაბათს, 17 თებერვალს მოიწყო.

ამ დღეს ჩრდ. კოლომბის კეტარამის (იგივე პრიმადასას) სტადიონზე იშვიათი ფარსი მოეწყო. 40-ათასიან ტრიბუნებზე რიგითი ქომაგი ერთიც არ მისულა. სამაგიეროდ, მრავლად იყვნენ პოლიციელები და ფოტოგრაფები.

პაკისტანელი, სამხრეთაფრიკელი და საამიროელი მსაჯები მოედანზე გაუძღვნენ ლანკელ მოკრიკეტეებს. გაიმართა სიაფანდი წილისყრა, ბურთი კი აღარ მოუწოდებიათ, რადგან სტადიონზე ერთადერთი ავსტრალიელი იყო და ისიც შრი-ლანკას მწვრთნელი, ვისაც თავისი დარდი ჰქონდა — გრიპი შეპყროდა. მისი თანამემამულე ვარსკვლავები ამ დროს სადღაც ინდოეთში ჯერ კიდევ საწოლებში ნებივრობდნენ.

რაც ვერ გაბედა ავსტრალიამ, თავს იდვა ზიმბაბვემ და გუშინწინ ეწვია კოლომბოს. მასპინძლებს ძალიან გაუხარდათ, მით უფრო, რომ სტუმრებს იოლად — 6 ბჭითა და 13 წყებით (78 ბურთით) მოუგეს და მეოთხედფინალში გასვლაც დაიბევეს. ზიმბაბველთა შრი-ლანკაზე ჩაფრენის ოპერაცია საწაულად გასაიდუმლოებული ყოფილა.

სხვა თამაშებიდან აღსანიშნავია 21 თებერვალს ინდოეთის მიერ ვესტ-ინდოეთის 5 ბჭითა და 10 წყებაზე მეტით ძლევა და 20 თებერვალს სამხრეთ აფრიკის მიერ ახალი ზელანდიის 4 ბჭითა და 12 წყებაზე მეტით დამარცხება.

**ყაფლან ჯანდიერი**
ყარაჩიდან


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
**ზურაბ მეძველია**

რედაქტორი
**თამაზ მიგრიაული**

სარედაქციო კოლეგია:
**ილია ბაბუნაშვილი**
**ზაალ გიგინეიშვილი**
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
**მამუკა კვარაცხელია**
**მერაბ რატიშვილი**
**მამუკა ჩიხლაძე**
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
**გიორგი ოქრომჭედლიძე**

გამომცემელი
**ზურაბ ფოცხვერია**

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი-79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29